ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 24 მარტი, 2015 168 (6688) აფცბ5 №) სტსჰბ

## საქართველოში 90 პროცენტით შემცირდა კუსტარული ნარკოტიკის მოხმარება

გვ.4

ზურაბ სიხარულიძე: „კამპანიამ, რომელიც შსს-მ ჩაატარა ბიონარკოტიკებთან დაკავშირებით, ნამდვილად გამოიღო შედეგი“




# ჯონდი ბაღათურია: 21 მარტს ხელისუფლებამ და ნაციონალებმა საცირკო სანახაობა მოაწყვეს!“



გვ.2

ნაცმოძრაობა რომ დამნაშავეა, ხალხმა ეს უკვე იცის. სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ნაცმოძრაობის იმ წევრების, რომლებმაც კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს. ამის პარალელურად უნდა მოხდეს ეკონომიკის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური პროგრამების დაფინანსება და პენსიების ზრდა. ასევე ყველაზე უმთავრესი, სამართლიანობის აღდგენა.

## ირაკლი ალასანია: მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ნაციონალების გარეშე დავიწყებთ“

გვ.3



ნაციონალები პარლამენტში 60 მხარდამჭერს ვერ შეაგროვებენ

## ნინო გვენეტაძე: ყველა მოსამართლეს გვერდით დავუდგები, ვისაც ხელისუფლებისგან პრობლემა შეექმნება“



გვ.4

პრეზიდენტმა ახალი უზენაესი მოსამართლე წარადგინა

რას ითხოვს მეირ შავიტი



გვ.6

## იციკ მოშე: ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ინვესტორს საქართველოდან წასვლა ვაიძულოთ“

## ვაჟა ბერიძე: ივანიშვილის მიერ ქადაგიძის კრიტიკას ვეთანხმები“



გვ.6

„ლარის ვარდნას თავიდან ვერ ავიცილებდით“

## თარგამაძე, ახვლედიანი, ვეფხვაძე — თალღითი ვირთხები, რომლებიც გემიდან პირველები გარბიან

გვ.8



გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## 300 კგ საეჭვო ხორცი ამოიღეს

GORGIA
CONSTRUCTION ▲ REFURBISHMENT



## გორგიაში ყველაზე იაფი ფასების აქცია დაიწყო

გვ.6

# ჯონდი ბაღათურია: 21 მარტს ხელისუფლებამ და ნაციონალებმა საცირკო სანახაობა მოაწყვეს!“

ნონა ცაბაძე



რა საერთო ინტერესები აქვს ნაციონალურ მოძრაობას და „ქართულ ოცნებას“, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***— ბატონო ჯონდი, მარტის მთავარი თემა 21 მარტის აქცია იყო. ყველა შიშის თვალებით უყურებდა ამ დღეს, თუმცა ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.***

— ზედმეტი აჟიოტაჟი ხელოვნურად შექმნეს „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ. ეს ორივეს აწყობდა. ერთი მხრივ, რა უნდა ენატრა „ქართულ ოცნებას“ 21 მარტის აქციაზე უკეთესი...

***— რაღა უკეთესი, იქ გამოსული ხალხი ხელისუფლების გადადგომას ითხოვდა...***

— რა უნდა ენატრათ ამ აქციაზე უკეთესი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაფარად! ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობდა ეს ჭიქაში ატეხილი ხმაური, რათა საკუთარი თავი მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, რომ არსებობს ასეთი პარტია და მას მუშტების ქნევის უფლება აქვს. ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო. ამას ხელისუფლება მიზანმიმართულად, შეგნებულად უწყობდა ხელს! ეს აქცია მიმართული იყო მთავრობის გადასარჩენად! მთავრობის გადადგომის საკითხი აქტუალურად იდგა და დღესაც დგას დღის წესრიგში. ამას მარტო ჩვენ, პოლიტიკური სპექტრი კი არ განვიხილავდით და განვიხილავთ, ხელისუფლების შიგნითაც მიდიოდა განხილვა მთავრობის დათხოვნის შესახებ. თუმცა აქ არის ერთი ასეთი ნიუანსი, თუ მთავრობას დაითხოვენ, მაშინ ვერ აირჩევენ ახალ მთავრობას და უნდა მოხდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რაც ნაცმოძრაობას არ აწყობს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ გამორიცხულია, მათ ხმების ეს რაოდენობა აიღონ. ყველაზე დიდი 12-დან 15%-მდე აიღონ. ესეც გაბერილი რიცხვია. ამიტომ ნაციონალურ მოძრაობას სჭირდებოდა ხმაურის ატეხვა მთავრობის გადასარჩენად. ნაციონალური მოძრაობის დაკრულზე ხომ არ იცეკვებენ მთავრობა ან ოპოზიციური სპექტრი?! ამიტომ მთავრობის გადადგომის საკითხმა რაღაც პერიოდით გადაიწია, ჩვენც დავდუმდით. ამ აქციით ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემა გადაფარეს. ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში ლაპარაკი იმაზე კი არ მიდიოდა, პენსიას რატომ არ ზრდიან, ფასები რატომ იზრდება, ან ლარის კურსი როგორ დაეცა... საუბარი მიდიოდა მხოლოდ იმაზე, აქციაზე მიხვალ თუ არ მიხვალ? არის თუ არა დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა და ასე შემდეგ. ნაცმოძრაობა რომ დამნაშავეა, ხალხმა ეს უკვე იცის. სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ნაცმოძრაობის იმ წევრების, რომლებმაც კონკრეტული დანაშაული ჩაიდინეს. ამის პარალელურად უნდა მოხდეს ეკონომიკის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური პროგრამების დაფინანსება და პენსიების ზრდა. ასევე ყველაზე უმთავრესი, სამართლიანობის აღდგენა.

***— ივანიშვილმაც ისაუბრა ამ თემებზე.***

— ვუსმინე მის გამოსვლას და ივანიშვილს საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა. მას ჰგონია, რომ ეს ისეთი სიტყვების წყობაა, სადაც შესაძლებელია, რომ პოლიტიკური თამაშები აწარმოო და მოდიპლომატო განცხადებები აკეთო. ივანიშვილმა ვერ გაიგო, რომ აქ ხალხს ცხოვრება წაართვეს! ფული, ქონება და თუნდაც თავისუფლება კი არა, ცხოვრება წაართვეს! ამ ხალხს ცხოვრება დაუბრუნონ, თორემ ეს ხალხი თავად დაიბრუნებს! ივანიშვილმა კი რაღაც წაიდიპლომატა, მოდით, ძველ სასამართლოზე ცუდს ნუ იტყვით რაიმეს და ასე შემდეგ. რას ნიშნავს, ცუდს ნუ იტყვით?! ის სასამართლო ხომ ფაშისტური რეჟიმის სასამართლო იყო! მას გამამართლებელი განაჩენი ჰქონდა ერთი მეათასედი პროცენტი. ეს ციფრები პირველად მე გამოვიტანე კუბლაშვილის ანგარიშიდან, როგორც იურიდიული კომიტეტის წევრმა. სწორედ იქ აღმოვაჩინე, რომ 18.354 სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ 18 გამამართლებელი განაჩენი იდგა. გამოდიან და დღეს გვეუბნებიან, თავი შეიკავეთო! რისგან? ამ სისტემამ და ამ სტატისტიკამ წაართვა ხალხს ცხოვრება! ოჯახები წაართვეს ხალხს!

***— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი სჭირდებათ და ერთმანეთის ინტერესს ატარებენ.***

— აი, ზუსტი სიტყვებით აღწერეთ. ზოგს ჰგონია, რომ ერთმანეთი მოსწონთ, არა, ბატონო, არ მოსწონთ, ვერ იტანენ კიდეც. უბრალოდ, სჭირდებათ ერთმანეთი. რა იციან ამათ სიყვარულის!

***— და რაში სჭირდებათ?***

— რა უნდა ინატროს „ქართული ოცნებისნაირმა“ ხელისუფლებამ, რომელმაც არანაირი შეპირება არ შეასრულა, ნაცმოძრაობის მაგვარ ოპოზიციაზე უკეთესი?! სრულიად გაკოტრებული ოპოზიციაა, რომელსაც არანაირი პერსპექტივა ხელისუფლებაში დაბრუნებისა არა აქვს! ამიტომ ასეთი ოპონენტი უფრო კარგია. როცა შენ კლასი არ გყოფნის, რომ დებატები მოიგო ისეთ შემთხვევაშიც, როცა მართალი ხარ, როცა ნაცმოძრაობა გიზის ეკრანზე ოპონენტად, ძალიან ადვილია უთხრა მას, აი, შენ რომ ამას აკეთებდი, შენ რომ პატიმრებს აწამებდი, შენ რომ ხალხს ხოცავდი? დავიღალეთ ამის მოსმენით! 24 საათის განმავლობაში დებატებში ესხდნენ ნაციონალებს და განიხილავდნენ იმას, 21-ში უნდა მისულიყო თუ არა ხალხი. რითაც პირდაპირ ეხმარებოდნენ, რომ ხალხი აქციაზე მიეყვანათ. იმიტომ, რომ რაც უფრო მეტი ხალხი მივიდოდა აქციაზე, მით უფრო დიდი ხნით გადაიწევდა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. ორივემ ერთად იჩალიჩა და ვერ იჩალიჩა მეტი. მაქსიმუმ 10 თუ 15 ათასი კაცი მივიდა აქციაზე.

***— მთელი საქართველოდან?***

— დიახ, მთელი საქართველოდან. ისიც იმ ნაქურდალი ფულით, რაც 9 წლის განმავლობაში ხალხისგან და სახელმწიფოსგან ჰქონდათ ამოღებული.

***— საუბარია, რომ საკმაოდ დიდი ფული დაიხარჯა...***

— რა თქმა უნდა. ჩვენც ხომ გვაქვს ინფორმაციები, თუ რა ღირდა ერთი კაცის ჩამოყვანა. 70-დან 100 ლარამდე ღირდა აქციაზე ერთი ადამიანის მოყვანა.

***— მაშინ ასე გკითხავთ, რას აპირებს რეალური ოპოზიცია? როდესაც აქციის წინა პერიოდს ვაშუქებდით, იკვეთებოდა აზრი, რომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბევრია, მაგრამ აქციაზე არ მიდიოდნენ, რადგან ამ აქციას ნაციონალები მართავდნენ. ეს სიტუაციაც მომგებიანი იყო ხელისუფლებისთვის?***

— აი, ახლა თქვით ყველაფერი, მთავარი ფორმულა სწორედ ეს არის! რადგან ნაციონალების აქცია იყო, იმიტომ არ წავიდა. ჩვენ რომ ჩაგვეტარებინა ეს აქცია, გაცილებით მეტი ხალხი მოვიდოდა. ამიტომ იყო, რომ ჰაერივით სჭირდებოდა ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“! ჰაერივით! რათა მათთვის მძიმე პერიოდი გადაეგორებინათ. ყველანაირად ხელი შეუწყვეს, რომ ნაცებს მეტი ეყვირათ და მეტი ხნით დაედუმებინათ ოპოზიცია. ამით შუას გაკრეფაც უნდოდათ, მაგრამ ვერ მოხერხდა ეს პროცესი, რადგან ხალხი მიხვდა. იმასაც მიხვდნენ, რომ ხელი ხელს ბანს და ესენი ერთმანეთს იყენებენ. ნაციონალებსაც აწყობთ ასეთი ძალა ხელისუფლებაში. აბა, უკეთესი მფარველი სად უნდა ეშოვათ?! ივანიშვილზე უკეთესი მფარველი ასეთ ბანდას სად უნდა ეპოვა?!

***— ბატონო ჯონდი, რატომ საცირკო სანახაობა?***

— იქ ხალხს ვხედავდი, ჰაერში მუშტებს რომ იქნევდა და იმუქრებოდა, ისეთს, რომელიც დიდი ხანია ციხეში უნდა იჯდეს. მე დავსვამ კითხვას — გივი თარგამაძე რა დამსახურების გამო აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ ნდობის ჯგუფში?! რომელი სანდო კაცი გივი თარგამაძე მყავს, რომ შეიყვანო ის ხუთკაციან ნდობის ჯგუფში, რომელსაც ხელი მიუწვდება სახელმწიფო საიდუმლოებაზე! შეიძლება გივი თარგამაძეს სახელმწიფო საიდუმლოება გაანდოს კაცმა?! არის თუ არა დამნაშავე თითოეული დეპუტატი, რომელმაც ხმა მისცა გივი თარგამაძის ამ ჯგუფის წევრობას?! ბოდიში და ვის ამასხარავებენ?! ასევე გია ბარამიძეს უმძიმეს საქმეებში ედება ბრალი. მე არ ვარღვევ არავის უდანაშაულობის პრეზუმპციას, მაგრამ რა დამსახურების გამო აირჩია „ოცნებამ“ გია ბარამიძე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ?! და თქვენ გინდათ თქვათ, რომ აფრასიძეების საქმის გამოძიებას ვინმე აპირებს?! ამ საქმის გამოძიება გულშიც რომ გაევლოთ, ბარამიძეს ვინმე ვიცე-სპიკერად აირჩევდა?! ამიტომ სხვა რა უნდა ვუწოდო 21 მარტის აქციას, თუ არა საცირკო სანახაობა?! ეს იყო ტრაგიკომედია! ეს დამნაშავეები, იმის მაგივრად, რომ ციხიდან შეწყალებას ითხოვდნენ, გამოდიან რუსთაველზე და აქეთ მუშტებს იქნევენ და იმუქრებიან!

# შსს-ს აკადემიაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ფილმის ჩვენება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით, აკადემიური პერსონალისა და სამაგისტრო სკოლის სტუდენტებისთვის დოკუმენტური ფილმის — „ხმა ამოიღეთ!“ ჩვენება გაიმართა.

შსს-ს ცნობით, ფილმი, რომლის რეჟისორი ზურა ინაშვილია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზეა გადაღებული და მასში საქართველოში მცხოვრები ქალების რეალური ისტორიებია ასახული.

ჩვენებას შსს-ს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი, შსს-ს აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი, საქართველოში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ერიკა კვაპილოვა, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები, შვედეთის საელჩოს და დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფილმის ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ფილმის ჩვენება მიზნად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, აღნიშნულ სენსიტიურ თემაზე სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობის ჩვენებას და ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობას ისახავს.

სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი — „ხმა ამოიღეთ!“ გაერო-ს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობითაა გადაღებული.

ფილმის პრემიერა 2015 წლის 3 მარტს, გენდერული თანასწორობის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

სამინისტროს ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა. შესაბამისად, უწყება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს და მუდმივად მონაწილეობს ღონისძიებებში, რომლებიც ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მედიანიუსი

# გია სოსანაშვილის ადვოკატი ბრალის გადაკვალიფიცირებას ითხოვს

იური ვაზაგშვილის მკვლელობისთვის დაკავებული გია სოსანაშვილის ადვოკატი სოსო ჯოგლიძე, გუშინ პროკურატურას ბრალის გადაკვალიფიცირების მოთხოვნით მიმართავს.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი უნდა შეუმსუბუქდეს და გამოძიება არა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის 109-ე მუხლით, არამედ 108-ე, მკვლელობის მუხლით უნდა გაგრძელდეს.

— მთელი საქმის მასალები მოწმობს, რომ აწგარდაცვლილი იური ვაზაგაშვილი საფლავზე მარტო იმყოფებოდა. სასაფლაო არ შეიძლება ხალხმრავალ ადგილად ჩაითვალოს, აქედან გამომდინარე, კვალიფიკაცია კი არ უნდა დაუმძიმდეს, არამედ უფრო მეტად უნდა შეუმსუბუქდეს, — განაცხადა ჯოგლიძემ.

გია სოსანაშვილის ადვოკატი ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატის ირმა ჭკადუას მხრიდან სისხლის სამრთლის კოდექსის დარღვევაზეც საუბრობს, მისი თქმით, ჭკადუას უფლებამოსილება არ აქვს, საქმის მასალებს გაეცნოს.

— დაზარალებული ამ შემთხვევაში მოწმის სტატუსით სარგებლობს, რომელსაც უფლება აქვს საქმის მასალებს, წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნამდე მხოლოდ 10 დღით ადრე გაეცნოს, — განაცხადა სოსანაშვილის ადვოკატმა.

ნიუსპრესი

# რატომ არ იძიებს ქართული ოცნება“ 26 მაისის დარბევას

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის, ნინო ბურჯანაძის თქმით, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალურ მოძრაობაზე მეტად არ აწყობს 26 მაისის გამოძიება

— კითხვა არ გიჩნდებათ იმასთან დაკავშირებით, რომ 26 მაისს არავინ არ ახსენებს? ძალიან საინტერესოა, რომ 26 მაისს, რომელიც განუზომლად უფრო სასტიკი იყო, ვიდრე 7 ნოემბერი, არავინ არ იძიებს და არავინ ისჯება, თუმცა მე ყოველთვის ვიყავი და ვარ მომხრე 7 ნოემბრის გამოძიებისა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მეტად არ აწყობს 26 მაისის გამოძიება, იმიტომ რომ გამოჩნდება — ვინ სად იყო მაშინ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიდან, ვინ ვისთან იყო და სინამდვილეში, ვინ იბრძოდა საქართველოს გადარჩენისთვის. მე ვერ გეტყვით რა პრინციპებით ხელმძღვანელობენ მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტები რომ გამოსაძიებელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, — აღნიშნა ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მედიანიუსი

სამართალი

# ერთი თვის წინ გაუჩინარებული ილია ნიჟარაძე მტკვარში იპოვეს

18 წლის ილია ნიჟარაძე 12 თებერვლის შემდეგ თვალით არავის უნახავს. ის ამ დღეს, დაახლოებით დღის 2 საათზე, გავიდა სახლიდან უნივერსიტეტში მეგობრების სანახავად და გაუჩინარდა.



მას შემდეგ პოლიცია მას ერთი თვის განმავლობაში ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ. 23 მარტს მისი ცხედარი მტკვარში აღმოაჩინეს. „კვირის“ ინფორმაციით, ის მდინარემ „ორთაჭალჰესთან“ გამორიყა.

ჯერჯერობით არ არის ზუსტი ვერსია იმის შესახებ, მკვლელობა იყო ეს თუ თვითმკვლელობა, პოლიცია არცერთ ვერსიას არ გამორიცხავს.

ილია ნიჟარაძე თბილისში ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით სენაკელია. ის პირველი კურსის სტუდენტი იყო და, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, არ ჰქონდა დეპრესია, ან რაიმე განსაკუთრებული პრობლემა.

ილიაც ტყუპისცალი ძმა ჰყავს, რომლის დანახვაზეც ხალხი პოლიციაში შეცდომით რეკავდა, რომ ილია აღმოაჩინეს.

გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 115-ე მუხლით, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ბ.გ.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ირაკლი ალასანია: მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ნაციონალების გარეშე დავიწყებთ“

შორენა მარსაგიშვილი

## ნაციონალები პარლამენტში 60 მხარდამჭერს ვერ შეაგროვებენ

მიტინგით გადაღლილი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებასთან ბრძოლის ახალ სტრატეგიაზე გადავიდა. ისინი მთავრობის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებენ, რისთვისაც, სულ მცირე, 60 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდებათ, ამდენი ნაციონალი კი პარლამენტში არ არის. ამიტომაც ისინი თავისუფალ დემოკრატებზე ამყარებენ იმედებს.

თავისუფალმა დემოკრატებმა ნაციონალების ნდობა რიგი მიზეზების გამო დაიმსახურეს. დაახლოებით ერთი თვის წინ პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თავად წამოსწია ეს თემა. ამის შემდეგ ნაციონალებმა ჩათვალეს, რომ ისინი მათ გვერდში დაუდგებოდნენ და საიმპიჩმენტოდ ხელებიც დაიკაპიწეს.

ამ საკითხზე ნაცმოძრაობის ოფისში გუშინ პოლიტსაბჭოს სხდომაც კი გაიმართა, სადაც პარტიის ლიდერებმა სამოქმედო სტრატეგია შეიმუშავეს. მათ თავისუფალი დემოკრატების მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაზეც ისაუბრეს. ამ განცხადებაში ალასანიას გუნდი აცხადებს, რომ მთავრობას უნდობლობა თავად მმართველმა გუნდმა უნდა გამოუცხადოს.

მათი ეს პოზიცია შეფასდა, როგორც უარი. თუმცა ნაციონალები მაინც იმედის თვალით უყურებენ თავისუფალ დემოკრატებს.

დეპუტატმა სერგო რატიანმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ისინი თავისუფალ დემოკრატებთან კონსულტაციებს მაინც დაიწყებენ.

— ამ წუთისთვის არ ვიტყოდი, რომ თავისუფალი დემოკრატები მხარს არ გვიჭერენ. უახლოეს დროში უნდა დაიწყოს კონსულტაციები, რის შემდეგაც შეგვეძლება ამაზე საუბარი, — განაცხადა სერგო რატიანმა.

ნაციონალებთან ყოველგვარი კინსულტაციები უარყო მთავარმა თავისუფალმა დემოკრატმა ირაკლი ალასანიამ.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თავისუფალი დემოკრატები საკუთარი ინიციატივით შევლენ პარლამენტში და ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას მხარს არ დაუჭერენ.

**ირაკლი ალასანია:**

— ივანიშვილს და სააკაშვილს ერთმანეთი სჭირდებათ, რომ ერთმანეთით ხალხი დააშინონ. ამიტომ, მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს და ჩვენს მომავალს არც ერთი არ სჭირდება.

საქართველოს სჭირდება განვითარება. საქართველოს არ სჭირდება დაბრუნება სააკაშვილის წარსულში. რაც მთავარია, ის ხალხი, რომელიც გამოვიდა რამდენიმე დღის წინ, ძირითადად გამოხატავენ იმ სულისკვეთებას, რომელიც მთელ საქართველოშია, რომ უმოქმედობამ საქართველო დახია უკან. აქედან გამომდინარე თავისუფალი დემოკრატები ვიმოქმედებთ ზუსტად ისე, როგორც ეს სჭირდება ხალხს და ჩვენს ქვეყანას.

ძალიან მალე ჩვენ გვექნება ჩვენი ეკონომიკური განვითარების გეგმის პრეზენტაცია და ამასთან შესაბამისად, ჩვენი დღის წესრიგით შევალთ პარლამენტში და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ ინიციატივას ჩვენ მხარს არ დავუჭერთ.

ნაციონალებთან შესაძლო თანამშრომლობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ ალასანიას თანაგუნდელებში დიდი ამბები გამოიწვია. ამ თემაზე მათ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გამოხატეს შეშფოთება.

ნაცმოძრაობას ალასანიას გუნდში რამდენიმე ფარული მოტრფიალე ჰყავს, მაგრამ უმეტესობას ყოფილი ხელისუფლება თვალით არ დაენახვება. ერთ-ერთი მათგანი არის გია ცაგარეიშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ის პარტიის დატოვებასაც კი აპირებდა, თუ მისი თანაგუნდელები ნაციონალებთან ითანამშრომლებდნენ. მის ბოლოდროინდელ მდუმარებას სწორედ ამ საკითხს უკავშირებდნენ.

გუშინ მან ამ თემაზე განცხადება გააკეთა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა ცდილობენ, პოლიტიკური ძალის დისკრედიტაცია მოახდინონ.

**გია ცაგარეიშვილი:**

— ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა ორივე ერთად, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ყველა საშუალებით ცდილობენ, როგორმე ჩვენი პოლიტიკური



ძალის დისკრედიტაცია მოახდინონ. მუდმივად ვრცელდება ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ შეიძლება რაიმე სახის კონსულტაციები გავმართოთ ნაციონალურ მოძრაობასთან. ეს, რა თქმა უნდა, შეგნებულად კეთდება, რომ თავისუფალ დემოკრატებს ტალახი ესროლონ და თავის მართლების მდგომარეობაში ჩაგვაყენონ. ჩვენ თავის სამართლებელი არაფერი გვჭირს, მით უმეტეს იმაზე, რაც არ გაგვიკეთებია და არც მომავალში გავაკეთებთ. ეს გამორიცხულია. დაწყნარდნენ ჩემი კოლეგები, განსაკუთრებით პარლამენტში და მიხედონ საქმეს. ჩვენ მედიისთვის დასამალი არაფერი გვაქვს. არავითარი საიდუმლო კონსულტაციები ნაციონალურ მოძრაობასთან ქართველი ხალხის ზურგს უკან არ მიმდინარეობს. ეს არის წარმოუდგენელი და დაუშვებელი. ვის ავადმყოფურ გონებაში მომწიფდა ეს გეგმა, მე ნათლად წარმომიდგენია, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილის.

ნაციონალების საიმპიჩმენტო ვნებებმა მეოცნებეებს იუმორის გრძნობაც გაუმძაფრა.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის თქმით, იმპიჩმენტის პროცედურაზე ნაციონალურმა მოძრაობამ თემა ხელოვნურად შემოაგდო.

**ირაკლი სესიაშვილი:**

— ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ეს ხელოვნურად შემოგდებული თემაა. ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ამის თავი არ აქვთ, რომ რაიმე სახით გაიტანონ ეს საკითხი. ეს იქნება დამატებითი ნიუსი და „რუსთავი 2“ ამას გაუშვებს ერთხელ, ორჯერ, ათჯერ და ვიღაცა დაშინდება ამით. საბოლოოდ ამაზეა გათვლილი ეს პიარი.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავქალი ეკა ბესელია კი ყოფილ ხელისუფლებას წინასწარ უსამძიმრებს. ამტკიცებს, რომ ნაცმოძის ოცნებას იმპიჩმენტთან დაკავშირებით ახდენა არ უწერია.

**ეკა ბესელია:**

— როგორ გამოვხატო წუხილი, მაგრამ ეს არის აუსრულებელი ოცნება, რომელსაც ეჭიდება ნაციონალური მოძრაობა. ეს ოცნება მათთვის დარჩება მართლაც აუხდენელი. როდისმე ალბათ მიხვდებიან, რომ ეს ყველაფერი არის ფუჭი მცდელობა, შესაძლოა, მათ ეს გაცნობიერებული ჰქონდეთ, უბრალოდ, სხვა რა გააკეთონ თუ არა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის მცდელობა. ნებისმიერი ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი მათთვის კრახით დასრულდება.

მთავრობის იმპიჩმენტის დასაწყებად 60 ხელმოწერის შეგროვებას შეუძლებლად მიიჩნევს თამარ კორძაია. მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ მოსახლეობას ისეთი დაპირება მისცა, რომელსაც ვერ შეასრულებს.

**თამარ კორძაია:**

— მათ ამისთვის სჭირდებათ 60 ხელმოწერა. მე არ ვლაპარაკობ, რომ ეს შეუძლებელია, უბრალოდ, ამ წუთას მაინც არარეალურად მესახება ეს ყველაფერი, თუმცა ეს არის პოლიტიკური პროცესი და ეს მათი რისკია. არ უნდა მისცე იმაზე მეტი დაპირება მოსახლეობას, ვიდრე შეასრულებ და აქ ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ ისინი 60 ხელმოწერას ვერ შეაგროვებენ.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი მთავრობის იმპიჩმენტის პროცესის დასაწყებად ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას კრახს უწინასწარმეტყველებს.

**ლევან ბერძენიშვილი:**

— 21 მარტის აქციაზე ნახსენები იყო, რომ პარლამენტში შეეცდებიან მომხრეების შეკრებას. ცოტა დაბნეული ვარ ნაციონალების ამ განცხადებით. მე მინდა, რომ ქვეყანაში ოპოზიციაში იყოს სერიოზული ძალა. იქნება და მთავრობაშიც ეძებენ მხარდამჭერებს? შეიძლება ვერ იაზრებენ და ჯანსაღად არ არიან. რასაც ისინი ამბობენ, რეალური არ არის.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძის განცხადებით, ის „ნაციონალურ მოძრაობას“ მთავრობის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაში მხარს დაუჭერს.

დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებით, მისი ხელმოწერა „ნაციონალების“ მიერ მომზადებულ დოკუმენტზე ნამდვილად იქნება, თუმცა ის აცხადებს, რომ ნაციონალები მის ინიციატივაზე თავად წამოვიდნენ და არა პირიქით.

**მურმან დუმბაძე:**

— როცა საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულებას არ გრძნობს, პარლამენტში ანგარიშის ჩასაბარებლად არ მოდის, ისევე, როგორც ადგილობრივი მთავრობა აჭარის უმაღლეს საბჭოში, მაშინ, ბუნებრივია, ეს პროცედურა დაიწყება. ჩემი ხელმოწერა ამ ქაღალდზე იქნება. მე ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობა ჩვენს ინიციატივაზე წამოვიდა, რომელიც 2014 წლის აგვისტოში იყო დაყენებული.

პარტია გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს არაფრის დაგეგმვისა და გამოცხადების მორალური უფლება არ აქვთ და დღეს რომ ისინი იმას ბედავენ, რასაც სჩადიან, არსებული ხელისუფლების ბრალია.

**ნინო ბურჯანაძე:**

— ნაციონალურ მოძრაობას არაფრის დაგეგმვისა და არაფრის გამოცხადების მორალური უფლება არ აქვს. ეს ძალიან ელემენტარული ჭეშმარიტებაა და მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენ მივიღეთ მთავრობა, რომელმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა იმის უფლება, რასაც ახლა ბედავენ. და ეს უფლება მისცა იმის ფასად, რომ თვითონ იყვნენ ძალიან კომფორტულად. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, ივანიშვილის მეთაურობით, ქართველი ხალხი გაყიდეს.

## კახა კალაძე: არ დავუშვებთ, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა ხალხი დააჩმოროს“

ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, ხელისუფლება არ დაუშვებს იმას, რომ რომელიმე კონკრეტულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ საქართველოს მოსახლეობა დაატეროროს.



მისივე თქმით, ქვეყანაში არ არსებობს დესტრუქციული ჯგუფი, „ვაი პოლიტიკოსი“, რომელიც შეძლებს, ქვეყნის წინსვლასა და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუშალოს.

**კახა კალაძე:**

— რამდენიმე დღის წინ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმის იმედით, რომ ხალხი გულმავიწყი და შემნდობია, თავხედობა ეყო და მიტინგის საშუალებით, მოსახლეობის სახელით სცადა ესაუბრა, მაგრამ მოსახლეობამ მას შესაბამისი პასუხი გასცა.

ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ რომელიმე კონკრეტულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა გაბედოს და დააშინოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, დაატეროროს მოქალაქეები, ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივი ადამიანები დააჩმოროს.

ნიუსპრესი

## ნაციონალური მოძრაობა ანტიკორუფციულ კომიტეტებს ქმნის

ნაციონალური მოძრაობა ანტიკორუფციული კომიტეტების შექმნას გეგმავს. როგორც პარტიის ცენტრალურ ოფისში საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, პირველ ეტაპზე კომიტეტები ჩამოყალიბდება გურჯაანში, სენაკსა და თბილისში.

**გიორგი გაბაშვილი:**

— მიმდინარეობს ხალხის ფულის მასიური ხერხვა, ბიუჯეტიდან ფულის დატაცება. ეს არა მხოლოდ თბილისური ჯოკია ბოდოკიას ისტორიებია, არამედ მთელ საქართველოში ასობით ჯოკია ბოდოკია მოქმედებს და ხალხის ფულს იპარავს. ჩამოყალიბდება პირველი სამი ანტიკორუფციული კომიტეტი და შერჩეულია რაიონები, გურჯაანი, სენაკი და თბილისში გლდანი. კომიტე-



ტები ამხელს ადგილობრივ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს.

მისივე თქმით, იგეგმება რამდენიმე თვის განმავლობაში აქციები და პიკეტირებები.

— საზოგადოებას დეტალურად მივაწვდით ინფორმაციას თუ სად, როდის, როგორ და რა ტიპის აქცია გაიმართება, — აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა.

მედიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილი: სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაჩქარდება“

საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სა-



ზოგადოებაში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა, რომ საქართველოში სამართალი აღდგეს.

მისივე თქმით, თუ არ იქნება დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო, სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი ზედმეტი და გადაჭარბებული იქნება.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— ყველაზე დიდი მოთხოვნა, — მე ვიხსენებ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, სადაც მე გახლდით კოალიციის ლიდერი, რა თქმა უნდა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა იყო და კარგად მოგეხსენებათ, დამოუკიდებელ და სამართლიან სასამართლოს გარეშე სამართალი ვერ აღდგება. სასამართლოა გადამწყვეტი და წამყვანი როლი აქვს. საზოგადოების იმ მოლოდინის აღსასრულებლად, რასაც ჩვენ ვპირდებოდით, ამ მხრივ, ეს ყველაზე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. საზოგადოებამ ნახა პარლამენტმა როგორ აირჩია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არა ერთი პირის, არამედ ყველა პროცედურის დაცვით. მისივე თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ასეთი დემოკრატიული ფორმით არჩევა, დააჩქარებს იმ პროცესებს, „რასაც ჩვენი მოსახლეობა ასე ელოდება.

ნიუსპრესი

## თამარ ცინცაბაძე: მერიაში კორუფციული ქსელი ვერ გამოააშკარავეს“

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წევრი“ თამარ ცინცაბაძე, თბილისის მერის ძმის ირაკლი ნარმანიას განცხადებას ეხმიანება.



მისი თქმითვე, საზოგადოებაში არსებობს ბევრი პრობლემა, ბევრი კითხვა მერიის მუშაობასთან დაკავშირებით, მათ შორის არის ის კორუფციული საქმეები, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში დედაქალაქის მთავრობაში თითქმის ყოველ კვირაში ფიქსირდებოდა.

**თამარ ცინცაბაძე:**

— სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი ბატონი ნარმანიას საკრებულოში მოსვლა და კითხვებზე პასუხების გაცემა. ამ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე თავის მართლება მისი ოჯახის წევრებსა თუ თანაგუნდელებს აღარ მოუწევდათ. რაც შეეხება არგუმენტს, რომ ბატონი ნარმანიას მოსვლა აპრილის თვეშია დაგეგმილი, — მიუღებელია, რადგან მერი იმდენჯერ უნდა მოვიდეს საკრებულოში და უპასუხოს საზოგადოების შეკითხვებს, რამდენჯერაც ამის საჭიროება იქნება.

ამასთან აუცილებელია, ხაზი გაესვას ხელისუფლების არაკომპეტენტურ და უპასუხისმგებლო მოქმედებას, როცა ოპერაცია დაიგეგმა და ჩატარდა ისე, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი აიყვანეს და კორუფციული ქსელი ვერ თუ არ გამოაშკარავდა. ამან გააჩინა ბევრი კითხვა. იმედს ვიტოვებ, გამოძიება დროულად დასრულდება და დამნაშავეები დაისჯებიან.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2015, 24 მარტი, №68

# ნინო გვენეტაძე: ყველა მოსამართლეს გვერდით დავუდგები, ვისაც ხელისუფლებისგან პრობლემა შეექმნება“

## პრეზიდენტმა ახალი უზენაესი მოსამართლე წარადგინა

ნათია ხურცილავა

გუშინ, 23 მარტს, პრეზიდენტმა საზოგადოებას და მოსამართლეებს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე წარუდგინა. წარდგენას, მოსამართლეების გარდა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი ესწრებოდა.

ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე პარლამენტმა 20 მარტს 88 ხმით 10 წლის ვადით აირჩია. მან აღნიშნულ თანამდებობაზე კოტე კუბლაშვილი შეცვალა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის 23 თებერვალს ამოეწურა.

გიორგი მარგველაშვილმა სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის პროცესსა და სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— მე მჯერა, რომ დღეს ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ძალიან მტკიცე ნაბიჯს იმისთვის, რომ საქართველოში სამართლიანი სასამართლო დაფუძნდეს. ლარის კურსის დაჭერა ჩვენი საქმეა, საქართველოს იმიჯის განმტკიცება ჩვენი საქმეა, ყოველდღიური დასაქმების პრობლემები ჩვენი საქმეა, კრიმინალთან ბრძოლა ჩვენი საქმეა — სასამართლო დგას ყველაფერ ამაზე მაღლა. ერთადერთი ინტერესი, რომელიც სასამართლოში არის წარმოდგენილი, კანონი და სამართალია და მე მჯერა, რომ დღეს ჩვენ ამ მიმართულებით ვდგამთ ნაბიჯს. ქართული სასამართლოს ისტორიაში იდგმება ძალიან მტკიცე ნაბიჯი, რომ სასამართლო ემსახურებოდეს მთავარს — ერთეულ ადამიანს, მის ინტერესებს და ამ სახელმწიფოში მისი ცხოვრების, მისი არსებობის, მისი სამართლიანი განცდის მთავარი გარანტი იყოს.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ სასამართლოს დეპოლიტიზაცია არის ქართული სახელმწიფოს მდგრადობის წინაპირობა.

— მე დღეს თქვენ გეუბნებით, ყველაზე მაღალი ინტერესი, რისთვისაც შეიქმნა სახელმწიფო, რასაც უნდა ემსახურებოდნენ პოლიტიკოსები და რასაც უნდა ასწორებდეს და ასტაბილურებდეს სახელმწიფო, მთავარი ინსტიტუტი არის სამართალი, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ნინო გვენეტაძემ ურთულესი ერთი თვე გაავლო, როდესაც მთელი ქვეყნის ყურადღება მის მიმართ იყო მიმართული.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— ეტყობა, ეს ქალბატონ ნინოს ბედია, რომ ყველაფერი ძალიან რთულად, მაგრამ საბოლოოდ მიიღწევა მის მიერ. ასეთი გრძელი განხილვა საქართველოს ისტორიაში მგონი არც ერთ კანდიდატს არ ჰქონია.



პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს მადლობა გადაუხადა და ინსტიტუტების მდგრადობისა და მემკვიდრეობითობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— დღეს ჩვენ კიდევ ერთ სერიოზულ საკითხს — ინსტიტუტების მდგრადობასა და მემკვიდრეობითობას ვუსვამთ ხაზს. ბატონი კოტეც დღეს ჩვენთან ერთად არის და ამით ნათლად ვაჩვენებთ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ინსტიტუტებს, ვაგრძელებთ ინსტიტუციურ მემკვიდრეობას და საქართველოში ის, რაც მოხდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც მოხდა მშვიდობიანი ცვლა პოლიტიკური ხელმძღვანელობის, არ იწვევს რყევებს. ინსტიტუტების გაძლიერება ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ბატონ კოტეს მობრძანებისთვის. მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ დღეს ჩვენ გვაქვს თაობათა ცვლა, ერთი თავმჯდომარე მიდის, მეორე მოდის, მაგრამ ინსტიტუტი რჩება და ეს არის უმნიშვნელოვანესი.

პრეზიდენტის შემდეგ სიტყვით აწ უკვე ყოფილი უზენაესი მოსამართლე კოტე კუბლაშვილი გამოვიდა. მან ნინო გვენეტაძეს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

**კოტე კუბლაშვილი:**

— საქართველოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სხვა ქვეყნების თავმჯდომარეებისგან განსხვავებით, უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს. საქართველოში დემოკრატიის სისტემის 20 წელი სრულდება აგვისტოში. სასამართლო ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაში გაიარა ურთულესი გზა და მივუახლოვდით იმ სტანდარტს, რასაც ჰქვია დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, ასევე მიუკერძოებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა და ბევრი პრობლემა გადალახეს, ჯერ კიდევ არ არის საქმე ბოლოში მისული. მინდა ვუსურვო სასამართლო ხელისუფლებას იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს და ასევე იმ მიღწევების შენარჩუნება, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში განვითარდა.

კოტე კუბლაშვილმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მადლობა გადაუხადა:

— მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტს, რომელმაც ხაზი გაუსვა სტაბილურობას, რაც აუცილებელია სასამართლო ხელისუფლებისთვის. უცვლელობა და სტაბილურობა არის მთავარი და ვუსურვებდი, რომ სწორედ ასე წასულიყო სამომავლოდ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა. სტაბილურობა პირველ რიგში სწორედ იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეები არიან შეუცვლელი. ეს კონსტიტუციური პრინციპი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს.

კოტე კუბლაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ სად გააგრძელებს საქმიანობას.

— მე საქართველოში ვარ — უნივერსიტეტში და ასევე ევროპის საბჭოდან გარკვეული შემოთავაზება მაქვს, ვნახოთ, — გვითხრა კუბლაშვილმა.

---

საზოგადოებას ახალმა უზენაესმა მოსამართლემ, ნინო გვენეტაძემაც, მიმართა. მან თქვა, რომ ქვეყანას აქვს რეალური შანსი, მიიღოს მართლაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება და ჩვენ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ.

ნინო გვენეტაძემ მოსამართლეებს სასამართლო დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება უსურვა.

**ნინო გვენეტაძე:**

— ყველა თქვენგანი თავს უნდა გრძნობდეს დამოუკიდებლად, რათა ხელისუფლების განცხადებებმა ან არასწორად ფორმირებულმა საზოგადოებრივმა აზრმა არ მოახდინოს თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა. მე გავიარე სამოსამართლეო უფლებამოსილების პერიოდი, ასევე განვვლე ბრძოლის გზა, რომელმაც თქვენთან დამაბრუნა. თქვენი პატივისცემით და თქვენდამი დიდი სიყვარულით დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ კოტეს წარმატებული სურვილებისთვის, შევეცდები ხალხის ნდობა, საზოგადოების მოლოდინი სიმართლის დასადგენად, სამართლიანობის დასამკვიდრებლად, თქვენთან ერთად განვახორციელო.

უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ცვლილებებს გეგმავს, თუმცა რა მიმართულებით, ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს.

**ნინო გვენეტაძე:**

— ბუნებრივია, კანონის ფარგლებში განხორციელდება ისეთი ცვლილებები, რომლებიც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს დასჭირდება. რაც შეეხება ცვლილებას, ამას შემდგომში გაცნობებთ. ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული გეგმა არ მაქვს, მაგრამ დამოუკიდებელი სასამართლოს ფუნქციონირებისთვის საჭირო და აუცილებელი ცვლილებები განხორციელდება.

თავდაპირველად გვენეტაძე მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატთან შეხვედრას გეგმავს.

**ნინო გვენეტაძე:**

— ძალიან ბედნიერი და ამავე დროს ამაღელვებელი და საპასუხისმგებლო დღეა ჩემთვის, რადგან დღეიდან ვიწყებ ჩემი უფლებამოსილების შესრულებას, სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელებას. პირველადი, გადაუდებელი გეგმები ამ ეტაპზე არის ჩემს კოლექტივთან — მოსამართლეებთან, სასამართლო აპარატთან შეხვედრა და ამის მერე დაგეგმვა იმ ღონისძიებებისა და აქტივობებისა, რომლებიც უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ გვქონდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო, იმისთვის, რომ ხალხის ნდობა ამაღლდეს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. კონკრეტული წინადადებები თქვენი მეშვეობით ძალიან ინტენსიურად იქნება გაშუქებული და საზოგადოებას ჩავაყენებთ საქმის კურსში ყველა იმ მნიშვნელოვან სვლასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი მიზნის მისაღწევად იქნება განხორციელებული.

ნინო გვენეტაძემ პირობა დადო, რომ ყველა მოსამართლეს გვერდით დაუდგება:

— პრეტენზიები მქონდა მაშინ, როცა ვიყავი არა მოსამართლე. ვიყავი ჩვეულებრივი მოქალაქე და ვიბრძოდი დამოუკიდებელი სასამართლოს შესაქმნელად და ამ ბრძოლას გავაგრძელებ. ვიქნები ყველა იმ მოსამართლის გვერდით, ვისაც დაემუქრება რაიმე ზეწოლა, რაიმე პრობლემა შეექმნება ხელისუფლებისგან. მათ გვერდით ვიქნები, ვის მიმართაც რაიმე არასწორი განცხადება გაკეთდება, მაგრამ ამავდროულად, მე მოსამართლეებს, როგორც კოლეგებს, თვითკონტროლს და ანგარიშგებას მოვთხოვ საკუთარი საქმისადმი.

# საქართველოში 90 პროცენტით შემცირდა კუსტარული ნარკოტიკის მოხმარება

## ზურაბ სიხარულიძე: „კამპანიამ, რომელიც შსს-მ ჩაატარა ბიონარკოტიკებთან დაკავშირებით, ნამდვილად გამოიღო შედეგი“

ნონა ცაბაძე

მიმდინარე წლის 19 მარტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის 2015 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ასევე მოხვდა ანგარიში საქართველოში 2014 წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულთან და ზოგადად, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.




მოცემულ ანგარიშში პოზიტიურად იქნა შეფასებული აღნიშნული კუთხით საქართველოში განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, ანგარიშში განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს შს სამინისტროს მიერ 2014 წლის ივლისის თვეში 2,7 ტონა თხევადი ჰეროინის ამოღების ფაქტი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით სახმელეთო გზით გადატანილი ჰეროინის ამოღების, სავარაუდოდ, ყველაზე დიდ ოდენობას წარმოადგენს. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია აშშ-სა და საქართველოს შორის 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული თანამშრომლობის მნიშვნელობა და ამერიკის დახმარება ქართული მხარისთვის ტრენინგების და სასწავლო ვიზიტების ორგანიზების, ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უწყებათშორისი ანტინარკოტიკული კინოლოგიური დანაყოფის შექმნის კუთხით.

ანგარიშში ასევე პოზიტიურად აღინიშნა საქართველოს მიერ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და მისი 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მიღების ფაქტი. ანგარიშში ნათქვამია, რომ სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია ნარკოდამოკიდებულებისა და მისგან გამოწვეული ზიანის შემცირებაზე, საქართველოში ამ კუთხით არსებულ ვითარებაზე მონიტორინგის, კოორდინაციის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე.

გარდა ამისა, ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში 2014 წლის განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც დაარეგულირა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარებასა და ნარკოტიკული საშუალებების იმპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წლის მაისის ცვლილებების შედეგად, 2013 წელთან შედარებით, 90 პროცენტით შემცირდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფაქტები და რომ ამ მიმართულებით საქართველოს შს სამინისტრომ ჩაატარა მნიშვნელოვანი ანტინარკოტიკული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების თავიდან აცილების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

აქვე, საქართველოს შსს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთან და ზოგადად, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა რჩება ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად და საქართველოს შს სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ეფექტური ღონისძიებების გატარებას ამ კუთხით.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნარკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სამედიცინო ცენტრ „ურანგის“ დირექტორ ზურაბ სიხარულიძეს ესაუბრა.

***— ბატონო ზურაბ, ალბათ თქვენთვისაც ცნობილია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, სადაც ხელისუფლების საქმიანობა ნარკოდანაშაულებების წინააღმდეგ დადებითად არის შეფასებული. თქვენი პოზიცია როგორია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? იკლო საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებამ, რეალიზაციამ?***

— ის ციფრები, რომლებიც არის ანგარიშში, მართებულია, ასევე, რაც შეეხება კუსტარულ ნარკოტიკებს. კამპანიამ, რომელიც შსს-მ ჩაატარა ბიონარკოტიკებთან დაკავშირებით, ნამდვილად გამოიღო შედეგი. მხედველობაში მაქვს საკანონმდებლო ცვლილებები, ვინაიდან მხოლოდ შემცირდა კი არა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ამ დროისათვის ფსიქოაქტიური ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება აღარ გვხვდება და მომართვიანობა ამ თვალსაზრისით არ არის.

***— ე.წ. „ნიანგზე“ რას იტყვით?***

— რაც შეეხება „ნიანგს“, რომელიც გვხვდება ანგარიშში და კუსტარულ ნარკოტიკში ეს იგულისხმება, ამ თვალსაზრისითაც ბოლო პერიოდის მანძილზე მომართვიანობა არ არის. ბოლო ექვსი თვის მანძილზე ამ ტიპის ნარკოტიკის მოხმარების მიხედვით მომართვიანობა სტაციონარულ კლინიკებში და პროგრამებში პრაქტიკულად არ აღირიცხება. შესაბამისად, ის ღონისძიებები, რეცეპტების შემოღება, კამპანია, საკანონმდებლო ცვლილებები, დადებითად აისახა ამ პრობლემაზე. რაც შეეხება შემოდინების, გავრცელებასთან ბრძოლის, ამოღების თვალსაზრისით ის ფაქტორები, რომლებითაც უნდა მუშაობდეს შს სამინისტრო, შემიძლია დადებითად შევაფასო.

***— გამოდის, რომ ხელისუფლების მუშაობამ და მცდელობამ ამ კუთხით გაამართლა და თავისი შედეგი გამოიღო?***

— დიახ, ფაქტია, რომ გაამართლა.

***— როგორია თქვენი სტატისტიკა წინა წლებთან შედარებით?***

— საავთიაქო ნარკომანიის პრობლემა ჯერჯერობით მაინც ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი. შავი ხვრელები ისევ არის და არის ისეთი აფთიაქები, რომლებიც მაინც ყიდიან ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. სამწუხაროდ, გაჩნდა კლასიკური ნარკოტიკები. კი, სამინისტრო ამ კუთ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**სამწუხაროდ, გაჩნდა კლასიკური ნარკოტიკები. შსს ამ კუთხით აქტიურად მუშაობს, მაგრამ ბოლომდე მაინც შეუძლებელია ნარკოტიკების ამოღება**

საქმე № 010210615720951
№2 379-15

1637741642743
www.info.court.ge

**განჩინება**
**საქართველოს სახელით**
**საჯარო შეტყობინების შესახებ**

**20.02.2015 წელი** **ქ. ბათუმი**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე თამარ ბურჯანაძე**

**განმცხადებელი** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური;

**მოთხოვნის არსი:** ქონების უპატრონოდ ცნობა;

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „24 საათი“ შემდეგი სახით:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ბურჯანაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (?2379-15) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობი ნივთებია თევზსაჭერი იარაღი:

1. 02.02.2014წ. ქობულეთში, მდ. ნატანების მიმდებარე საზღვაო რაიონში ამოღებული იქნა ერთკედლა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგრძე 395მ. სიმაღლე 2,30მ. თვლის ზომა 142-145მმ.

2. 29.05.2014წ. ფოთი-ანაკლიის მიმდებარე სანაპირო ზოლში, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 9 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. 40X40მმ. 2. 10მ. 24X 24მმ. 3. 10მ. 24X 24მმ. 4. 50მ. 24X 24მმ. 5. 20მ. 40X40მმ. 6. 70მ. 36X36მმ. 7. 15მ. 24X 24მმ. 8. 50მ. 36X36მმ. 9. 50მ. 100მმ.

3. 10.06.2014წ. ფოთის მიმდებარე სანაპირო ზოლში, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 6 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 35მ. 40X40მმ. 2. 120მ. 40X40მმ. 3. 55მ. 40X40 მმ. 4. 40მ. 45X45მმ. 5. 20მ. 40X40მმ. 6. 25მ. 40X40მმ.

4. 27.06.2014წ. სუფსა-ურეკის მიმდებარე სანაპირო ზოლში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 14 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 35მ. 130X130მმ. 2. 35მ. 130X130მმ. 3. 35მ. 130X130მმ. 4. 60მ. 130X130მმ. 5. 60მ. 130X130მმ. 6. 70მ. 130X130მმ. 7. 70მ. 130X130მმ. 8. 50მ. 130X130მმ. 9. 70მ. 130X130მმ. 10. 50მ. 130X130მმ. 11. 25მ. 30X30მმ. 12. 20მ. 40X40მმ. 13. 70მ. 20X20მმ. 14. 25მ. 30X30მმ.

5. 17.06.2014წ. ყულევის სანაპირო ტერიტორიაზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 18 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 60მ. 40X40მმ. 2. 40მ. 40X40მმ. 3. 20მ. 40X40მმ. 4. 30მ. 30X30მმ. 5. 60მ. 50X50მმ. 6. 55მ. 50X50მმ. 7. 70მ. 30X30მმ. 8. 60მ. 50X50მმ. 9. 70მ. 50X50მმ. 10. 45მ. 50X50მმ. 11. 60მ. 50X50მმ. 12. 40მ. 50X50მმ. 13. 70მ. 50X50მმ. 14. 40მ. 35X35მმ. 15. 40მ. 50X50მმ. 16. 40მ. 40X40მმ. 17. 30მ.40X40მმ. 18. 45მ. 40X40მმ.

6. 23.07.2014წ. ყულევის მიმდებარე სანაპირო ზოლში, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 12 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. 50X50მმ. 2. 40მ. 50X 50მმ. 3. 50მ. 50X50მმ. 4. 15მ. 30X 30მმ. 5. 20მ. 50X50მმ. 6. 40მ. 50X50მმ. 7. 40მ. 40X40მმ. 8. 40მ. 35X35მმ. 9. 25მ. 30X30მმ. 10. 80მ. 50X50მმ. 11. 40მ. 50X50მმ. 12. 35მ. 50X50მმ.

7. 31.07.2014წ. ნაბადას მიმდებარე სანაპირო ზოლში, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 8 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.100მ. 40X40მმ. 2. 100მ. 40X40მმ. 3. 70მ. 30X30მმ. 4. 15მ. 40X40მმ. 5. 50მ. 50X50მმ. 6. 50მ. 50X50მმ. 7. 30მ. 50X50მმ. 8. 40მ. 40X40მმ.

8. 02.08.2014წ. სასაზღვრო შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ასევე ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 11 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 35მ. 40X40მმ. 2. 60მ. 30X30მმ. 3. 130მ. 40X40მმ. 4. 40მ. 40X40მმ. 5. 20მ. 40X40მმ. 6. 25მ. 40X40მმ. 7. 45მ. 40X40მმ. 8. 45მ. 40X40მმ. 9. 80მ. 50X50მმ. 10. 20მ. 30X30მმ. 11. 30მ. 40X40მმ.

9. 04.08.2014წ. ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ენგურის ზღვის შესართავთან, ასევე ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.70მ. 50X50მმ. 2. 70მ. 40X40მმ. 3. 30მ. 40X40მმ.

10. 11.08.2014წ. სასაზღვრო შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ასევე ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან,ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.100მ. 40X40მმ. 2. 30მ. 40X40მმ. 3. 20მ. 40X40მმ. 4. 100მ. 40X40მმ. 5. 50მ. 40X40მმ.

11. 12.08.2014წ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.30მ. 40X40მმ. 2. 20მ. 40X40მმ.

12. 13.08.2014წ. მდ. ბარცხანის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 20 მ. სიმაღლე 1 მ. თვლის ზომა 18 მმ.

13. 14.08.2014წ. სასაზღვრო შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ასევე ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე,ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.20მ. 40X40მმ. 2. 20მ. 40X40მმ. 3. 50მ. 40X40მმ.

14. 25.08.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 70მ. 40X40მმ.

15. 03.09.2014წ. სასაზღვრო შუქურასა და ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.80მ. 40X40მმ. 2. 50მ. 40X40მმ. 3. 40მ. 40X40მმ. 4. 40მ. 40X40მმ.

16. 04.09.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.40მ. 40X40მმ. 2. 50მ. 40X40მმ. 3. 100მ. 40X40მმ. 4. 60მ. 40X40მმ. 5. 40მ. 40X40მმ. 6. 60მ. 30X30მმ. 7. 15მ. 40X40მმ.

17. 05.09.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.40მ. 40X40მმ. 2. 50მ. 50X50მმ. 3. 30მ. 50X50მმ. 4. 30მ. 50X50მმ. 5. 50მ. 30X30მმ. 6. 20მ. 30X30მმ. 7. 20მ. 30X30მმ.

18. 08.09.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.20მ. 40X40მმ.

19. 09.09.2014წ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1.20მ. 40X40მმ. 2. 50მ. 40X40მმ. 3. 40მ. 30X30მმ. 4. 50მ. 40X40მმ.

20. 12.09.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 12 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 60მ. 40X40მმ. 2. 60მ. 40X40მმ. 3. 25მ. 30X30მმ. 4. 20მ. 50X50მმ. 5. 40მ. 30X30მმ. 6. 60მ. 30X30მმ. 7. 70მ. 30X30მმ. 8. 10მ. 30X30მმ. 9. 80მ. 30X30მმ. 10. 40მ. 35X35მმ. 11. 60მ. 25X25მმ. 12. 50მ. 25X25მმ.

21. 15.09.2014წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 10 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. 30X30მმ. 2. 60მ. 25X25მმ. 3. 70მ. 30X30მმ. 4. 50მ. 30X30მმ. 5. 40მ. 28X28მმ. 6. 90მ. 25X25მმ. 7. 50მ. 25X25მმ. 8. 40მ. 25X25მმ. 9. 80მ. 20X20მმ. 10. 50მ. 20X20მმ.

22. 15.09.2014წ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ასევე ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. 30X30მმ. 2. 10მ. 30X30მმ. 3. 60მ. 30X30მმ. 4. 70მ. 20X20მმ. 5. 50მ. 25X25მმ. 6. 30მ. 30X30მმ. 7. 20მ. 22X22მმ.

23. 16.09.2014წ. სასაზღვრო შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 40მ. 25X25მმ. 2. 30მ. 28X28მმ. 3. 30მ. 28X28მმ.

24. 16.09.2014წ. სუფსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 20მ. 25X25მმ. 2. 30მ. 25X 25 მმ. 3. 25მ. 18X18მმ.

25. 17.09.2014წ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ასევე, ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 70მ. 28X28მმ. 2. 50მ. 28X28მმ. 3. 40მ. 20X20მმ. 4. 15მ. 20X20მმ.

26. 17.09.2014წ. სუფსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 25მ. 22X22მმ. 2. 35მ. 30X30მმ. 3. 40მ. 28X28მმ. 4. 30მ. 20X20მმ.

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობა“-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6.განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე:** **თამარ ბურჯანაძე**

# „კონსტანტინე კუბლაშვილი უკრაინაში მიდის“

## ნიკოლოზ მჟავანაძე ყოფილი უზენაესი მოსამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

გულიკო ბალაძე

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უკრაინაში აპირებს გადაბარგებას.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე გვაწვდის ინფორმაციას.

— გვაქვს ინფორმაცია, რომ კუბლაშვილი თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც დღეს უკრაინაში არიან, აპირებს ჩაერთოს უკრაინის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. აპირებენ, კუბლაშვილს მისცენ უკრაინის მოქალაქეობა, რომ შემდეგ უკრაინის სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა დაიკავოს, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძე კონსტანტინე კუბლაშვილის წინააღმდეგ სასწრაფოდ გამოძიების დაწყებას მოითხოვს.

მისინ თქმით, უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც ახლა იმუნიტეტი აღარ იცავს, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიეცეს, რადგან შემდეგ უკრაინიდან მისი ჩამოყვანა გაძნელდება.

— კუბლაშვილის უკრაინაში დაფუძნება რომ არ მოხდეს, პრობლემა არ გახდეს მისი ჩამოყვანა და პასუხისმგებლობაში მიცემა, ხელი არ უნდა შევუწყოთ მას წასვლაში. საქართველოს პროკურატურამ უამრავ საქმეზე სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება, — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ.



რა საქმეებზე შეიძლება წაუყენოს პროკურატურამ უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს ბრალი?

ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი არის იმ ლიდერთა შორის, რომელთა კისერზეა საქართველოს მოსახლეობის 9-წლიანი ტერორი.

— საქართველოში დამთავრდა კუბლაშვილისა ერა. კუბლაშვილის თანამდებობიდან წასვლით დამთავრდა უსამართლობის ის 9-წლიანი ტერორის ერა, რომელსაც ატარებდა სასამართლო კუბლაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში უამრავი უკანონო გადაწყვეტილება იყო მიღებული კუბლაშვილის სასამართლოს მიერ. გავიხსენოთ თუნდაც გირგვლიანის საქმე, რომელზეც ევროსასამართლომ პირდაპირ მიუთითა მთელ რიგ დარღვევებზე, მის გაყალბებაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობაზე და საქმის ხელახლა გამოძიება და განხილვა მოითხოვა. გავიხსენოთ ის უამრავი საქმე, რომელთა საფუძველზე ადამიანები პოლიტპატიმრებად იქცნენ. აქედან გამომდინარე, ასე მშვიდობიანად და ეტიკეტის დაცვით არ უნდა წავიდეს კუბლაშვილი. გვაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს კონტროლის პალატის დასკვნები, რომლის თანახმად, კუბლაშვილმა სასამართლოების რემონტით იხეირა, თავისი ახლობლების მეშვეობით. არსებობს ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ ახორციელებდა ზეწოლას მოსამართლეებზე, რათა მათ მიეღოთ უკანონო გადაწყვეტილებები.

***— ხომ არ გაქვთ ინფორმაცია პროკურატურაში რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოების თაობაზე?***

— არ ვიცი, პროკურატურა რას ფიქრობს, მაგრამ მაინცდამაინც რომ წავა, მერე გამოძიების დაწყება არ არის მიზანშეწონილი. ვფიქრობ, კუბლაშვილთან დაკავშირებით ბევრი სამხილი იქნება. კუბლაშვილი დაუსჯელად რომ წავიდეს და ხახვივით შერჩეს 9-წლიანი რეჟიმის მსახურება, სწორი არ იქნება.

***— პროკურატურას ხომ არ მიმართავთ?***

— პროკურატურისთვის არაერთხელ მიგვიმართავს. თუ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, მან პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებებზე.

***— შეიძლება არ უნდათ, რომ დააპატიმრონ.***

— არ ვიცი. მე მაქვს ინფორმაცია, რომ კუბლაშვილი უკრაინაში აპირებს წასვლას და მოღვაწეობის გაგრძელებას. სანამ ადეიშვილისა და სააკაშვილის მსგავსად, მისი ჩამოყვანა არ გაძნელებულა, პროკურატურამ უნდა იმოქმედოს.

# საქართველოში 90 პროცენტით შემცირდა კუსტარული ნარკოტიკის მოხმარება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხით აქტიურად მუშაობს, მაგრამ ბოლომდე მაინც შეუძლებელია ნარკოტიკების ამოღება, მაინც რჩება. ასე რომ, კლასიკური ნარკოტიკები ისევ გამოჩნდა შავ ბაზარზე. ჩვენთან მათი რიცხვი, ვინც ნარკოტიკს მოიხმარს, საკმაოდ დიდია. შესაბამისად, ეს ადამიანები ალტერნატიულ გზებს ეძებენ. მკურნალობის თვალსაზრისითაც, სახელმწიფო საკმაოდ ბევრ ნაბიჯს დგამს. საკმაოდ მაღალია ბიუჯეტი პროგრამებისა, რომელთაც სახელმწიფო ამ კუთხით აფინანსებს.

***— თქვენ ახსენეთ სააფთიაქო შავი ხვრელები, ამ პრობლემას როგორ უნდა ებრძოლოს ხელისუფლება?***

— ნელ-ნელა ებრძვიან. ყოველდღიურად ხდება დაჯარიმება აფთიაქების. როგორც ჩანს, საკმარისი არ არის ეს ზომები და უფრო უნდა გამკაცრდეს მიდგომები აფთიაქებთან დაკავშირებით. ალბათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა იქნას შემოღებული იმ აფთიაქებთან დაკავშირებით, ვინც კანონს და სახელმწიფოს მიდგომებს არ ემორჩილება. ასევე უნდა გამკაცრდეს რეცეპტურის ინსტიტუტის მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით.

***— რომ შევაჯამოთ, ადეკვატური და ობიექტურია ის დასკვნა, რომელიც დადო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა?***

— შეიძლება ციფრი 90%, ვიღაცას ცოტა გაბერილად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ის, რაც ამ დასკვნაშია აღწერილი, სრული რეალობაა.

საქმე № 010210615720951
№2 379-15

1667739860679
www.info.court.ge

**განჩინება**
**საქართველოს სახელით**
**უსწორობის გასწორების შესახებ**

**12.03.2015 წელი** **ქ. ბათუმი**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე თამარ ბურჯანაძე**

**განმცხადებელი** - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური;

**მოთხოვნის არსი:** ქონების უპატრონოდ ცნობა;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებაში შესწორების შეტანის საკითხი და

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 261-ე, 284-285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში შევიდეს შეწორება და ნაცვლად მითითებულისა გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში 24 საათი: მიეთითოს - **გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში ახალი თაობა.**

3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ.ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ.32), ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში.

**მოსამართლე:** **თამარ ბურჯანაძე**

# იციკ მოშე: ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ინვესტორს საქართველოდან წასვლა ვაიძულოთ“

## რას ითხოვს მეირ შავიტი

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტი, იციკ მოშე ინიციატივით გამოდის, საქართველოს მთავრობაში გამოიყოს კონკრეტული პირი ისრაელელი ინვესტორებისთვის.

ამის შესახებ ნათქვამია იციკ მოშეს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

იციკ მოშე ეხმაურება ისრაელელი ინვესტორის, მეირ შავიტისა და მისი კომპანიების საქმეს.

— ჩემს მიზანს არ წარმოადგენს საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციაში შეჭრა, თუმცა კატეგორიულად ვეწინააღმდეგები კომპანიებში საგამოძიებო სამსახურის რამდენიმეთვიან ყოფნას, რაც ბიზნესზე ზეწოლის განხორციელების მცდელობის ნიშნებს შეიცავს, — ამბობს ბ-ნი მოშე.

მას მიაჩნია, რომ ბიზნესისადმი და უცხოელი ინვესტორისადმი ასეთი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრის მიერ ბიზნეს ფორუმებზე არაერთგზის გაცხადებულ პრინციპს, რომ სწორედ ისინი იქნებოდნენ ინვესტორთა დაცვისა და ხელშეწყობის გარანტორი.



**იციკ მოშე:**

— ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ინვესტორს ქვეყნიდან წასვლა ვაიძულოთ და იმედი გვქონდეს, რომ მის ადგილს შემდეგ სხვა ინვესტორები დაიკავებენ, მაშინ როდესაც არამხოლოდ საქართველო, არამედ სხვა ქვეყნებიც პირადი ინვესტიციების დიდ დეფიციტს განიცდიან.

როდესაც კანონი ორგვარად განმარტების შესაძლებლობას იძლევა, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ის ბიზნესის სასიკეთოდ იქნეს გამოყენებული, რადგან ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესი ერთია და კმაყოფილი ინვესტორი წარმატებულ ეკონომიკას ნიშნავს.

ბ-ნ მოშეს ვითარებიდან საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია საქართველოს მთავრობაში კონკრეტული პიროვნების გამოყოფა, რომელიც ისრაელელი ინვესტორებისთვის, მსგავსი პრობლემების შემთხვევაში, იქნება საკონტაქტო პირი და რომელსაც ყოველგვარი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე შეეძლება საჭირო უწყებებს ინვესტორების პრობლემები და ინტერესები გააცნოს.

— მსგავსი პრაქტიკა უკვე დანერგა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ, — ამბობს იციკ მოშე და დასძენს:

— ქვეყანაში არსებული დაუსრულებელი გარდამავალი პერიოდები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების შემოდინებაზე. ჩვენ ვცდილობთ მოვახდინოთ საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაცია, შევინარჩუნოთ თითოეული ინვესტორი. სწორედ ამით ვაშენებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ძლიერ ეკონომიკურ ხიდებს. წლების მანძილზე უზარმაზარი ენერგია ჩავდეთ ამ მიმართულებით, მსგავსი შემთხვევები კი, რომლებიც მრავალი კვირის მანძილზე ტრიალებს მედიაში და კონკრეტული უწყებების მხრიდან გამოხმაურებას ვერ ჰპოვებს, უარყოფითად აისახება არსებულ პოტენციალზე და ქვეყანაში უკვე შემოსული ინვესტორების სამომავლო გეგმებზე. მჯერა, რომ ამ საკითხზე ჩემ მიერ პრემიერ-მინისტრისადმი, ირაკლი ღარიბაშვილისადმი გაგზავნილი მიმართვა და უკვე აპრობირებული მეთოდის შეთავაზება არ დარჩება რეაგირების გარეშე.

11 მარტს მეირ შავიტმა ფეისბუქიდან პრემიერ ღარიბაშვილს ასე მიმართა:

„ბატონო ირაკლი, მე ებრაელი ინვესტორი ვარ ისრაელიდან მეირ შავიტი — მხატვარი დიზაინერი — გეხსომებით ალბათ .... გასაქცევად მიქმნიან საქმეს კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები და ვერავის ვერ მოგაწვდინეთ ხმა ,,, იქნებ თქვენ მაინც მომაქციოთ ყურადღება ... ბოდიშს ვიხდი, რომ აქ ვწერ ... ყველა გზა ამოვწურე და ხმაური კი არ მინდა! გთხოვთ!“

# ვაჟა ბერიძე: ივანიშვილის მიერ ქადაგიძის კრიტიკას ვეთანხმები“

## „ლარის ვარდნას თავიდან ვერ ავიცილებდით“

თამარ ნინიძე

ანალიტიკოსი ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში ვაჟა ბერიძე მიიჩნევს, რომ ის კრიტიკა, რაც ეროვნული ბანკის მისამართით ისმის, ობიექტურია და ეროვნულ ბანკს თავისი მთავარი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ლარის კურსის გამყარებაში, რაც არ გააკეთა. თუ რა არის ამის მიზეზი და რამდენად გამოიწვია გარე ფაქტორებმა საქართველოს ეკონომიკაში რთული პროცესები, ამაზე „ახალ თაობას“ ვაჟა ბერიძე ესაუბრა.

— თქვენ ლარის კურსის ვარდნის კომენტირებისას ეჭვები გამოთქვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან დაკავშირებით, საბოტაჟი ხომ არ იყოო. რა გაძლევდათ ამ ეჭვების თქმის საფუძველს?

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ საბოტაჟზე საუბარი ძნელია იმდენად, რამდენადაც ყველა შეფასებას უნდა ახლდეს სათანადო დადასტურება. იმდენად არ ვარ ჩახედული ეროვნული ბანკის საქმიანობაში, რომ სათანადო ინფორმაცია მქონდეს, ესეც რომ არ იყოს, ეროვნული ბანკი სპეციფიკური ინსტიტუტია და მისი საქმიანობის საჯაროობის ხარისხი მისი ფუნქციიდან გამომდინარე საკმაოდ დაბალია ხელმძღვანელის საქმიანობის კონტექსტში. კონკრეტულ ინფორმაციაზე უნდა მუშაობდნენ შესაბამისი სამსახურები, რომლებიც მიადევნებენ თვალს, ხომ არ შეიცავს ამა თუ იმ ინსტიტუტის საქმიანობა საბოტაჟის ნიშნებს.

არადამაჯერებლად გამოიყურებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის საქმიანობა იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მიმდინარეობდა ლარის დევალვაცია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული რაოდენობის რეზერვი ეროვნულმა ბანკმა გაყიდა, ქადაგიძე არაერთგზის აცხადებს, რომ სავალუტო რეზერვების ხარჯვა დანაშაულია. გამოდის, რომ არაფერს აკეთებს იმ უმთავრესი ამოცანების განსახორციელებლად, რასაც ჰქვია ლარის კურსის სტაბილურობა. სავალუტო ბაზარზე პროცესი პროგნოზირებადი უნდა იყოს და არა — შოკური და ნახტომისებური. ეროვნული ბანკის მთავარი ფუნქციაა რეზერვების გამოყენება სოციალურად უარყოფითი პროცესების შედეგების აღმოსაფხვრელად. ქადაგიძე ამ ფუნქციას არ ასრულებს და ჩნდება ეჭვი, ხომ არ არის წინასწარ გამიზნული ამ პროცესში ჩაურევლობა, რომ ამან უარყოფითი რეზონანსი გამოიწვიოს ლარის კურსის ვარდნის გამო.

— ბიძინა ივანიშვილმა ქადაგიძე გააკრიტიკა და თქვა, რომ ეროვნული ბანკის ბრალია ლარის კურსის ვარდნა. იზიარებთ ამ მოსაზრებას თუ არის სხვა ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც აისახება ჩვენს ეკონომიკაზე?

— ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესი განპირობებულია საგარეო და საშინაო ფაქტორების ერთობლიობით. ვერ მოვახდენთ ზემოქმედებას რუსეთის ეკონომიკაზე სანქციების ნეგატიურ როლზე, გადმორიცხვები მნიშვნელოვნად შემცირებულია, უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებაც არ შეგვიძლია, უკრაინა არის ჩვენი მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი, საბერძნეთის კრიზისსაც ვერ მოვაგვარებთ, საიდანაც ასევე შემცირდა გადმორიცხვები. ჩვენ შეგვიძლია ტურისტების ნაკადის შემცირებული პროცესი აღმოვფხვრათ, ვიზების ლიბერალიზაციის პროცესი გავამკაცრეთ, სავიზო რეჟიმი უნდა გამოსწორდეს, ივანიშვილის წერილის ამ ნაწილს ვეთანხმები და მის ანალიზს, სადაც მან გააკრიტიკა გიორგი ქადაგიძე. ჩემი აზრით, ამას მოჰყვა არაადეკვატური პოზიცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მხრიდან, რომ ეროვნულ ბანკზე თავდასხმები უნდა შეწყდეს. არადა, ის ისეთივე ინსტიტუტია, როგორიც ნებისმიერი სხვა და კრიტიკის მიღმა არც ერთი ინსტიტუტი არ უნდა არსებობდეს. ლარის კურსის ვარდნის თავიდან აცილება ალბათ არ შეიძლებოდა, რადგან საქართველო ვერ იქნება ბედნიერი კუნძული დიდ ოკეანეში, სადაც ასეთი პროცესი ვითარდება. დოლარის კურსის გამყარებამ ყველა ვალუტა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

— მთავრობამ სავალუტო ფონდის წარმომადგენლები მოიწვია და გაირკვა, რომ საქართველოს სესხს არ გამოუყოფენ. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას? უცხოელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საქართველო თვითონ უნდა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან?

— სავალუტო ფონდი 90-იან წლებში ჩვენი მთავარი პარტნიორი იყო. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგნორირებული იყო სავალუტო ფონდის როლი, საქართველოში



მისი წარმომადგენელი კრისტიანსენი თითქმის უსაქმოდ იჯდა და არაფერს ეკითხებოდნენ. ბენდუქიძე თავის პოლიტიკას ატარებდა ყველა მიმართულებით. თავდაჯერებული და თვითკმარი მოღვაწე იყო და მისი შეხედულებებით იმართებოდა საქართველოში ეკონომიკა. ახალი მთავრობა თავაზიანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, უსმენს მათ, ზოგ რამეს ითვალისწინებს, ზოგს — არა. სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ საქართველოს სესხს არ მისცემს ვალუტის კურსის გასამყარებლად. მისი პოზიციაა, რომ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ დევალვაციის პროცესს, მივუშვათ თავისუფალი ცურვის პროცესში ლარი.




# გორგიაში ყველაზე იაფი ფასების აქცია დაიწყო

ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ საგაზაფხულო ყველაზე იაფი ფასების აქცია დაიწყო. პირველ სამშენებლო სარემონტო ჰიპერმარკეტში მომხმარებელს უკვე შეუძლია ასეულობით პროდუქტზე სპეციალური ფასი მიიღოს. აქციის ფარგლებში კაფელი 11 ლარად, ლამინატი 11.50 ლარად, 50 კილოგრამიანი ცემენტი 10 ლარად და 80 თეთრად, თაბაშირ-მუყაო 10 ლარად და 49 თეთრად, ჭაღები 11 ლარიდან, ერთი ტომარა ქვიშა — 95 თეთრად, ერთ მეტრიანი კაბელი 25 თეთრად გაიყიდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ლარის კურსი მკვეთრად შეიცვალა, ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ ყველაზე დაბალი ფასები და ცალკეულ სამშენებლო-სარემონტო მასალებზე მკვეთრად გავაიფეთ. ასევე გავზარდეთ ასორტიმენტი და მომხმარებელს უკვე ისეთი პროდუქტების ყიდვაც შეუძლია, როგორიცაა ქვიშა, ცემენტი და თაბაშირ-მუყაო“,— აცხადებენ „გორგიაში.“

ჰიპერმარკეტი „გორგია“ თბილისში — წერეთლის 140-შია განთავსებული და ფილიალები აქვს ქუთაისსა და ბათუმში. პირველ სამშენებლო-სარემონტო ჰიპერმარკეტში 25000 დასახელების პროდუქტი იყიდება. მომხმარებელს უფასო პარკირების ზონა ემსახურება და ათას ლარზე მეტი ღირებულების პროდუქტის შეძენის შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილამდე მიტანა უფასოა. ჰიპერმარკეტი „გორგია“ თავის მომხმარებელს ასევე აბაზანის ინტერიერიერის დიზაინსაც უფასოდ სთავაზობს.


# 300 კგ საეჭვო ხორცი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ქართული პროდუქტის“ ხორცის საბითუმო ობიექტიდან 300 კგ-მდე საეჭვო წარმომავლობის ხორცი ამოიღეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მსხვილფეხა პირუტყვის სამი ტან-ხორცის არც ერთ ნაჭერს არ ჰქონდა დამღა, ანუ საქონელს არ ჩატარებია დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა. შესაბამისად, რეალიზატორმა დოკუმენტური შემოწმებისას ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2, რის გამოც შპს „ქართული პროდუქტი“ 1.000 ლარით დაჯარიმდა. ხორცი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „ქართული პროდუქტის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტში გაურკვეველი წარმომავლობის ხორცი არაერთხელ გამოავლინა, მიმდინარე წელს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, თუმცა, რეალიზატორები კვლავ ცდილობენ საეჭვო ხორცის გასაღებას.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, ხორცის შეძენისას მოითხოვოს ფორმა №2.

# თბილისის მიკროავტობუსი“: სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არ გაძვირდება“

ლარის კურსის ვარდნამ ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს უამრავი ახალი პრობლემა გაუჩინა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სამარშრუტო ტაქსებს ეხებათ, რომლებსაც ლარის კურსის ვარდნის შედეგად ყოველდღიური გადასახადი გაეზარდათ. ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასმა მოიმატოს. სავარაუდოდ, ეს აპრილიდან უნდა მოხდეს.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ ამ ინფორმაციას უარყოფს. მათი განცხადებით ინფორმაცია მგზავრობის საფასურის გაზრდის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. კომპანია ამ საკითხზე ოფიციალური განცხადების გამოქვეყნებასაც აპირებს.

ბ.გ.


გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვახტანგ მაისაია: დასავლეთთან ინტეგრაცია რომ შევაჩეროთ, რუსეთი მთლიანად დაგვიპყრობს“

## „მცოცავ ოკუპაციას შეიარაღებული ძალა უნდა დავუპირისპიროთ“

გულიკო ბალაძე

რუსეთმა ცხინვალის რეგიონი წაგვართვა და მიიერთა. ჩვენ კი უსუსურები ვართ, რომ რუსები შევაჩეროთ. 2008 წლის შემდეგ ამ ტერიტორიაზე კონტროლი სრულად დავკარგეთ. რუსეთი ახორციელებს ამ ტერიტორიის ანექსიას, თანაც თანდათანობით, აქეთ-აქეთ მოიწევს და მავთულხლართებს აბამს. შედეგად ქართული სოფლები და მათი მიწის ნაკვეთები ექცევა რუსებისა და ოსების კონტროლქვეშ. გაუგებარია, რატომ არ აყენებენ ოკუპაციის ხაზის გასწვრივ ჩვენს ძალოვნებს და რატომ არ ახორციელებენ კონტროლს, რომ რუსებმა და ოსებმა ჩვენს, ამ დროისთვის კონტროლირებად ტერიტორიისაკენ ფეხი ველარ გადმოდგან.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალების ან შს სამინისტროს სტაციონარული პუნქტები, ბლოკპოსტები განთავსდეს ოკუპაციის ხაზთან (სარისკო ზონებში მაინც), რომლებიც გააკონტროლებენ აფხაზებსა და ოსებს, რათა იმ ტერიტორიის აქეთ არ გადმოვიდნენ, რომელიც უკვე დაკავებული აქვთ.

მაისაიას განცხადებით, რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, გარდა იმისა, რომ ხდება ცხინვალის რეგიონის ანექსია და რუსეთისთვის სრული მიერთება, კიდევ ახალი საფრთხეები იქმნება.

ხელშეკრულების მეორე პუნქტი კოლექტიური თავდაცვის პრინციპს მოიცავს და ამოქმედდება მაშინ, თუ ერთ-ერთ მხარეზე მოხდება თავდასხმა და აგრესია. თუმცა, აღნიშნული მუხლი ყველაზე რბილია. ე.წ. ხელშეკრულებაში უარესი მუხლებიც არის.

— ოსებთან გაფორმდა უფრო საშიში ტიპის სამართლებრივი დოკუმენტი, ვიდრე აფხაზებთან. აფხაზეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ჰქვია „სტრატეგიული მოკავშირეობის ხელშეკრულება“. აქ საუბარია პირდაპირ ინტეგრაციაზე. ხელშეკრულება 16 მუხლს შეიცავს. ყველა მუხლი საშიშია, — განაცხადა ვახტანგ



მაისაიამ „კვირის“ პრესკლუბში.

***— ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ რუსეთის მიერ ცხინვალელ ოსებთან გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებას? რა ვითარება იქმნება ამ დოკუმენტით?***

— აღნიშნული ხელშეკრულება, ფაქტობრივად, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ანექსიის დოკუმენტს. მისი პირველი მუხლით განსაზღვრულია ერთობლივი ქმედება კავკასიის რეგიონში სტაბილურობის მიღწევისა და უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით. ხელშეკრულებაში კავკასიის რეგიონი გამოკვეთილია, როგორც ერთიანი გეოსტრატეგიული არეალი, სადაც რუსეთს დაფიქსირებული აქვს განსაკუთრებული გავლენის ფორმატი. პირდაპირაა მინიშნებული, რომ რუსეთი ამ რეგიონს განიხილავს მისთვის მნიშვნელოვან სასიცოცხლო არეალად.

ადრე ვთქვი, რომ მოხდებოდა ე.წ. ორი ოსეთის გაერთიანება. ეს არის, ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიის გაერთიანება ჩრდილო ოსეთთან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ეს არის ცხინვალის რეგიონის სრული მიერთება რუსეთის ფედერაციასთან. აფხაზეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოდელია ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ. ეს შეთანხმება პირდაპირ არღვევს ჩრდილო კავკასიის რეგიონში ძალთა ბალანსს. ფაქტობრივად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ჟენევის ფორმატის არსებობას საფუძველი ეცლება. თუ მოხდება ცხინვალის რეგიონის მთლიანი ინტეგრაცია რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში, ე.წ. სამხრეთ ოსეთი ხდება რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი. აქედან გამომდინარე, ოსური მხარე ამოვარდება ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატიდან. ეს ფორმატი, ფაქტობრივად, იქნება რუსულ-აფხაზურ-ქართული.

***— ამ ვითარებაში პარალელურად გაკეთდა განცხადება, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან ურთიერთობები დაარეგულიროს და ასევე მზად არის მოხდეს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია პრეზიდენტების შეხვედრა და რა უნდა იყოს შეხვედრისა და მოლაპარაკების საგანი?***

— ეს არის ცინიკური განცხადება. რაც რუსეთმა გააკეთა, არის საქართველოს ტერიტორიის ანექსია. ფაქტობრივად, მოხდა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა და ყირიმიზაციის პროცესის დაწყება საქართველოს ტერიტორიების მიმართ. როგორი ურთიერთობა უნდა იყოს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. ჩვენ ისედაც არ გვაქვს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთთან საომარ ვითარებაში ვართ. ამიტომ ახლა ქვეყნების პირველ პირებს შორის შეხვედრა უცნაური იქნება. საქართველოს მხარემ უნდა დააყენოს საკითხი, რომ მოხდეს დეოკუპაცია, დაფიქსირება, რომ ეს ხელშეკრულება არის არა მარტო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, არამედ სახელმწიფოებრიობის შემბღალავი გეოპოლიტიკური გამოწვევაც.

***— ამ პროცესისადმი შეწინააღმდეგება როგორ წარმოგიდგენიათ?***

— არის კიდევ მეოთხე ვარიანტი, ძალისმიერი კუთხით მოქმედება. ისეთ შემთხვევაში, რაც რუსეთმა გააკეთა, საერთაშორისო სამართლის, გაეროს წესდებით გათვალისწინებული უფლებით, ინდივიდუალური თავდაცვის პრინციპი შეიძლება ამოქმედდეს და შეიარაღებული ძალებით მოხდეს ამ პროცესის შეჩერება. ბუნებრივია, დღევანდელ ვითარებაში შეიარაღებული კუთხით დაპირისპირებაზე ლაპარაკი გამორიცხულია. ჩვენ სამჯერ შევეცადეთ ძალისმიერი ხერხით ცხინვალის რეგიონის დაბრუნება (გეოსტრატეგიულ კონტექსტში ვსაუბრობ). ყველაზე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# საპრეზიდენტო არჩევნები ყაზახეთში

აპრილის ბოლოს, ყაზახეთში, ჩატარდება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობამ მათ მხარი დაუჭირა.

ყაზახეთი — ცენტრალური აზიის უდიდესი ქვეყანაა. „Bloomberg□□-ის ეკონომისტების შეფასებით, ყაზახეთი შედის 2015 წლის განვითარებადი ბაზრების მზარდი ეკონომიკის მქონდე ქვეყნების რიცხვში და იკავებს მე-11 ადგილს. მაგრამ, დღესდღეობით, ყაზახეთი, როგორც სხვა სახელმწიფოების უმეტესობა, განიცდის დიდ ზეწოლას ეკონომიკაზე.

ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია მიმდინარე მსოფლიო კრიზისით. როგორც, ნავთობისა და ლითონის ექსპორტიორი ქვეყანა, ყაზახეთი განიცდის სერიოზულ ზარალს საერთაშორისო ბაზარზე ამ რესურსების ფასების დაკლების გამო. მეორე მხრის, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება გამოწვეულია „რუსული ფაქტორით□□, ორივე ქვეყნის ეკონომიკა ძლიერადაა ურთიერთდამოკიდებული. სანქციებმა მოსკოვის წინააღმდეგ და რუსეთის ეკონომიკის ტემპის შენელებამ საგრძნობლად იმოქმედა ყაზახეთის განვითარებაზე. „დღეს რუსეთი მძიმე მდგომარეობაშია, ისევე როგორც ჩვენ, თუმცა, მე და ყაზახეთის მოსახლეობა დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთი ამაყად დააღწევს თავს ამ სიტუაციას, განაგრძობს განვითარებასა და წინსვლას და ჩვენც მასთან ერთად“, — განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

დღესდღეობით ქვეყნის ეროვნული ვალუტა, ერთადერთია, რომელიც ურყევი დარჩა სხვა ევროკავშირის ქვეყნების ვალუტებთან შედარებით ასევე იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართებაშიც, რომლებიც არ იმყოფებიან ევრაზიული ეკონომიკის გაერთიანებაში. ასე რომ, ყაზახეთი ამართლებს თავის სტატუსს, როგორც „რეგიონალური ლიდერი□□. თუმცა, უარყოფითი ფაქტები აიძულებს ქვეყნის ხელისუფლებას გადახედოს მოკლევადიან ეკონომიკურ სტრატეგიებს და ჩართოს „ეკონომიის რეჟიმი□□, რაც ერთბაშად აისახა მთლიან შიდა პროდუქტსა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე. ქვეყანაში შექმნილია სპეციალური ანტიკრიზისული სისტემა, „ნურლი ჟოლ□□, რომელმაც, უნდა გაანეიტრალოს ეკონომიკური რისკები და არ დაუშვას უმუშევრობის ზრდა.

ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური ფაქტორიც. ანტიტერორისტული კოალიციის გამოყვანას კონფლიქტის ზონებიდან შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში რადიკალ-ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტების გადმოდინება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა კრიზისი, ამას უფრო ადასტურებს ავღანეთიდან ნარკოტრაფიკის ზრდა.

ფაქტობრივად, დღეს, ყაზახეთი განიხილება როგორც „ბუფერული ზონა□□, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ნარკოტიკისა და რადიკალ-ექტრემისტების გზის ბარიერად. სტაბილურობა კი თამაშობს უდიდეს როლს ქვეყანაში როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სფეროებში.

როგორც ქყვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ამ სტაბილურობის გარანტად მიაჩნიათ პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი. ის ხელისუფლებაში უკვე 20 წელი იმყოფება — ყველა კანონის ფარგლების დაცვით იმარჯვებს არჩევნებში, მიღებული ხმების უდიდესი რაოდენობით. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ეუთოს წარმომადგენლები არაერთხელ აღნიშნავდნენ არჩევნების მსვლელობისას რიგი დარღვევების შესახებ, თუმცა, ერთხმად აღიარეს ხმების დათვლის სამართლიანობა. საზოგადოების პრეზიდენტისადმი ასეთი ნდობა გამოწვეულია რიგი ფაქტორებით.

პირველ რიგში, სწორედ ნაზარბაევის და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას უკავშირებენ ქვეყანაში ნდობისა და ურთიერშეთანხმების დამყარებას. ყაზახეთი ერთადერთი რესპუბლიკაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, რომელმაც თავიდან აირიდა ყველა საერთაშორის კონფლიქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში ცხოვრობს 140-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომდგენელი. ასტანაში შეიქმნა იდეალური მოლაპარაკების პლატფორმა — „ყაზახეთის ხალხების ასამბლეა“, რომლის წარმომადგენლები არიან სწორედ სხვადასხვა ეროვნების კულტურულ-ნაციონალური ცენტრების თავმჯდომარეები, მცხოვრებნი ასტანაში. ცხოვრების დონის მიხედვით ყაზახეთის მოსახლეობა შევიდა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მოსახლეობის რიცხვში, ამავე დროს, გაეროს დაკვირვებიდან გამომდინარე, ყაზახეთი შედის იმ ქვეყნების სიაში, სადაც ადამიანის განვითარების ინდექსი მაღალია. ქვეყნის ეკონომიკა მუდმივ აღმასვლას განიცდის, მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმებისა. სოციალურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კმაყოფილია ხელისუფლების მიერ შერჩეული კურსით.

ყველა დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ერთ პოლიტიკოსთან, ერთგვარ რისკს იწვევს ნაზარბაევის სამომავლო წასვლის შემდეგაც. საქმე იმაშია, რომ არც ისე გამოჩენილი პოლიტიკოსები გვევლინებიან, როგორც „ნაზარბაევის ბარტყები“, მისი გუნდის წევრები. ამიტომაც ურჩევნიათ ღიად არ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება თუ აზრი და მოქმედებენ კანონით დადგენილ ფარგლებში.

ე.წ ოპოზიცია ყაზახეთში ჩამოუყალიბებელია. მისი უმეტესი ნაწილი კი, ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, თუმცა, უმრავლესობის უპირატესობის გამო, მაინც მხარს უჭერენ მიმდინარე კურსს. უფრო მეტიც, მათი ლიდერები, რომელთაც შეეძლოთ არჩევნებზე თავიანთი კანდიდატურა დაესახელებინათ, ღიად აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ნაზარბაევის შემცვლელს ვერ ხედავენ.

გარდა ამისა, ოპოზიცია საზოგადოების ნდობით ვერ სარგებლობს. მათი პოპულისტური ლოზუნგები არ გვამცნობენ ქვეყნის სტრატეგიული ხედვის განვითარებას. მათი ოპონირება ნაციონალურ ან ანტირუსულ ხასიათს ატარებს. ამიტომაც საზოგადოებისთვის ისინი ასოცირდებიან არა როგორც კარგი პოლიტიკოსები, არამედ ქვეყანაში მშვიდობის დამანგრევლებად. ყაზახეთში შიშობენ იმ ფერადი რევოლუციების სცენარის განმეორებას, როგორებიც იყო უკრაინაში, ყირგიზეთსა და საქართველოში. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, ეკონომიკური სირთულეების ფონზე, რომელიც, როგორც წესი, ასოცირდება მომუშავე პერსონალის მასობრივ გაფიცვასთან. სწორედაც, ელექტორატი გამოვიდა მოთხოვნით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით.

არსებობს ორი მიზეზი. პირველი, დაკავშირებულია რთულ ეკონომიკურ პერიოდთან და არსებულ რისკებთან. ხოლო მეორე, მგომარეობს იმაში, რომ მომავალი წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთმანეთს დაემთხვა (რაც აკრძალულია ქვეყნის კანონმდებლობით).

თებერვლის შუა რიცხვებში ყაზახეთი სახალხო ასამბლეამ გამოაქვეყნა ხალხის მოთხოვნა. უნდა აღინიშნოს, მოქალაქეების ამგვარი მიმართვის მიუხედავად, მათი ერთადერთი კანდიდატის მიმართ ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ,,მსოფლიო არ არის სტაბილური, გრძელდება საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი. იმისათვის, რომ არ დავუშვათ მსგავსი სიტუაცია ჩვენს ეკონომიკაში, ჩვენს ქვეყანაში, პრეზიდენტმა შემოგვთავაზა პროგრამა „ნურლი ჟოლ□□, სადაც წამყვანი ადგილი სახელმწიფოს წინამძღოლს უკავია. 2016 წელს ყაზახეთში იგეგმება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა, ვარაუდობენ, 2016 წელს მსოფლიო კრიზისი პიკს მიაღწევს და ყველა რესურსი თუ პოტენციალი მის აღმოსაფხვრელად იქნება მიმართული, რის დროსაც პოლიტიკური კამპანიები უადგილო იქნება და მემკვიდრეზეც ლაპარაკი შეწყდება. ყველამ თავისი გასაკეთებელი გააკეთოს“, — განაცხადა ყაზახეთის სახალხო ასამბლეამ.

არჩევნების ჩატარების იდეას მხარი დაუჭირა ქვეყნის პარლამენტმაც. მათ მიმართეს პრეზიდენტს, დაეთქვა არჩევნების თარიღი, რასაც ორი კვირის შემდეგ ნაზარბაევის პასუხი მოჰყვა — 26 აპრილი. მმართველმა გუნდმა განაცხადა, რომ სურს თავისი კანდიდატის წარდგენა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ნურსულტან ნაზარბაევი იქნება.

არჩევნებში მონაწილეობის სურვილით გამოვიდა ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი, თუმცა, მან განაცხადა, რომ გამარჯვების იმედი არ აქვს, რადგან „ნაზარბაევის შემცვლელს ვერ ხედავს“.

ამიტომ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ფაქტია, ვადამდელ არჩევნებში კვლავ გაიმარჯვებს 75 წლის ნურსულტან ნაზარბაევი.

ზაზა მეზვრიშვილი

# თარგამაძე, ახვლედიანი, ვეფხვაძე — თაღლითი ვირთხები, რომლებიც გემიდან პირველები გარბიან

ღრმად პატივცემულმა და ერთ-ერთმა ყველაზე მეტად გამოჩენილმა ანტიკური ეპოქის ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით IV-საუკუნეში ბრძანა — „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარიაო“. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი ნათქვამია, ჩვენც შევეცდებით ზედმიწევნით ზუსტად გავითვალისწინოთ არისტოტელეს ეს შეგონება და ჭეშმარიტების კრიტერიუმს არსდიდებით ვუღალატოთ, იმის მიუხედავდ, გვიყვარს თუ გვძულს, მეგობრები არიან თუ არა ის ადამიანები, რომელთა საქციელზეც ქვემოთ გვინდა მოგითხროთ.

ჩვენი ამ თხრობის მთავარი გმირები კი პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან — დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე, ამავე პარტიის ყოფილი ლიდერები ლევან ვეფხვაძე და გიორგი ახვლედიანი, ამავე პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი ზაზა ვეკუა (ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრი „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობიდან„) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე არიან. ამ სახელებისა და გვარების ერთად გაგონებაზე, კაცს უნებურად თიყვას ავისმომასწავებელი წამოძახილი გაგახსენდება, როცა თავის დუქანში რაჟა სარჩიმელიასა და ბოდღო ყვალთავას ერთად შესულს დაინახავს -„რა უნდათ ნეტავი აქ ამათ ერთად?“ (რომანი, კინოფილმი „დათა თუთაშხია“). ჰოდა, ზუსტად ასეთი წამოძახილი აღმოხდა დამსწრე საზოგადოებას თბილისის საქალაქო სასამართლოს დარბაზში ერთიოდე თვის წინათ, როდესაც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებისა და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ სასამართლო პროცესზე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მათი მხრიდან და მათ მხარეს, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი თარგამაძეც გამოცხადდა. ლაბირინთიც ამას ჰქვია და ვიდრე მკითხველი ამ ჩახლართულ ვითარებაში გაბლანდულა, უმჯობესია საქმის არსი ახლავე განვმარტოთ: ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე სრული კრახის განცდის შემდეგ, გიორგი თარგამაძემ პარტიიდან და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეობა გიორგი ახვლედიანს გადააბარა. გიორგი ახვლედიანმა კი მცირე პერიოდის გასვლის შემდეგ, როგორც იტყვიან, არც აცია, არც აცხელა და „ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობა“ ნინო ბურჯანაძეს პირდაპირ საკუთარი ნივთივით მიყიდა. ცხადია, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ მაქინაციასთან გიორგი თარგამაძე არაფერ შუაში იყო, რომ იგი ამ მაქინაციისგან განზე იდგა, მაგრამ ... მაგრამ ვიდრე მითითებულ მაქინაციაში გიორგი თარგამაძის „ღვაწლს“ დავადგენდეთ, მანამ, მეტი სიცხადისთვის, აუცილებელია თვითონ მითითებული მაქინაციის შინაარსზე მკითხველს უფრო ნათლად მოვუთხროთ.

საქმე ის გახლავთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო და შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქრისტიან — დემოკრატიული მოძრაობის“ კრახის მერე, პარტიის ახალი ხელმძღვანელის გიორგი ახვლედიანისა და მისი რამდენიმე თანამოაზრის მონდომებით, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივ არჩევნებამდე ერთიოდე თვით ადრე, 2014 წლის 6 მაისს, „ქრისტიან — დემოკრატიული მოძრაობის“ მორიგ ახალ თავმჯდომარედ, როგორც უკვე მივუთითეთ, არც მეტი არც ნაკლები, ნინო ბურჯანაძე მოგვევლინა. კი მაგრამ, რად უნდოდა ნინო ბურჯანაძეს თითქოსდა ყველანაირად გაკოტრებული „ქდმ“ — იკითხავს მკითხველი და „ძაღლის თავიც“ სწორედ აქ არის დამარხული. თურმე ნუ იტყვით და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოპოვებული წარმატების წყალობით, „ქდმ“ — სა და მისი შვილობილი „ქრისტიან — დემოკრატიული სახალხო პარტიის“ ანგარიშზე ჯერ კიდევ ირიცხებოდა 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით ნაღდი და მილიონობით ლარის ოდენობით უნაღდო (ტელევიზიებში რეკლამების განთავსებისთვის გამოყოფილი სახსრები და სხვა) აქტივები. ახლა ხომ ნათელია ყველაფერი? აი რას დახარბდა ბურჯანაძე და რა ჩაიჯიბეს თავიანთ ჯიბეებში ქდმს ყოფილმა ხელმძღვანელებმა თანამებრძოლებისა და ამომრჩევლების გადაგდება — მოტყუების ხარჯზე. ბურჯანაძე და „ქდმ“ — ს ხელმძღვანელები იმ დონეზე დახარბდნენ ამ ყველაფერს, რომ გონება „დაებინდათ“, თვალთ „დაუბნელდათ“ და 2014 წლის 2 მაისით დაათარიღეს ქდმ -ს 6 მაისის ყრილობის გადაწყვეტილება ქდმს თავმჯდომარედ ბურჯანაძის არჩევის შესახებ. ამასთან, მითითებულ ყრილობას ქვორუმით განსაზღვრულ აუცილებელ მინიმუმზე გაცილებით ნაკლები, სულ ოთხმოციოდე წარმომადგენელი ესწრებოდა და აქედანაც ქდმს წევრი მხოლოდ თორმეტიოდე წარმომადგენელი იყო. აი ასე გაყიდეს ქალბატონის დახმარებით ვაჟბატონებმა (თუ პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს) პარტიაც, გვერდზე მდგომიც, ამომრჩეველიც, სინდისიც, ნამუსიც, ყოველივე ადამიანურიც და ზედმეტი სიამოვნებისაგან „ნირვანაშიც“ ჩაიძირებოდნენ, „ქდმ“ — ელების აბსოლუტურ უმრავლესობას ხმა რომ არ აემაღლებინა ამ უსამართლობის წინააღმდეგ და სასამართლოში არ ეჩივლა. არადა, „ქდმ“-ში მართლაც რომ არიან სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებმაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, მომხიბლავი წინადადებების მიუხედავად, არც პარტიას უღალატეს, არც ამომრჩეველს, არც სინდისს, არც ნამუსს, არც ერთგულებას და ბოლომდე „გემზე“ დარჩნენ, ანუ არ გადადგეს ის ნაბიჯი, რომელიც ზუსტადაც ვირთხული საქციელი იქნებოდა და როგორი ნაბიჯიც მოგვიანებით სწორედ „ქდმ“-ს ხელმძღვანელობამ გადადგა.

ვინც „ქდმ“-ს შიდასამზარეულო იმთავითვე კარგად იცის, იმისთვის სადავო არ არის, რომ ამ პარტიის საარჩევნო შედეგები უმეტესწილად საშუალო და ქვედა რგოლების თავდაუზოგავი და მუყაითი შრომით იყო მოპოვებული. „ქდმ“, როგორც პარტია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქვემოდან“ იყო აწყობილი, შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში მუშაობის მთელი სიმძიმე საშუალო და ქვედა რგოლებზე, ანუ რეგიონებისა და რაიონების ხელმძღვანელებზე გადადიოდა და ამ პარტიის სიძლიერის გასაღებიც მის ამგვარ სტუქტურაში იმალებოდა. „ქდმ“ ორგანიზაციული და ყველა სხვა თვალსაზრისით, სწორედ საშუალო და ქვედა რგოლების (რეგიონებისა და რაიონების ხელმძღვანელების) წყალობით, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გაერთიანება იყო საქართველოში და იქნებ დღესაც ეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ... და აი ის „მაგრამ“ მომენტი, ზემოთ რომ შევჩერდით და ეს „მაგრამ“ „ქდმს“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი თარგამაძეა. რომ არა „ქდმ“ — სა და „გაერთიანებულ დემოკრატებს“ შორის მიმდინარე ზემოთ მოტანილი სასამართლო პროცესი და მასზე გიორგი თარგამაძის გამოცხადება (ალბათ მეტი გზა აღარ დარჩა) სწორედ ბურჯანაძის მხრიდან, დღესაც არავის ეცოდინებოდა, რომ ბურჯანაძეზე „ქდმს“ მისხვისების სქემის სათავეშიც გიორგი თარგამაძე მდგარა (რა თქმა უნდა გიორგი ახვლედიანთან და ლევან ვეფხვაძესთან ერთად).

მაშ ასე, ისევ გიორგი თარგამაძე და ისევ ღალატი, თან როგორი ღალატი: თანამებრძოლების , ამომრჩევლების და იმ იდეებისა თუ იდეალების ღალატი, რომელთა განხორციელებასაც თარგამაძე ხალხს პირდებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, პატიოსანი და ნამუსიანი ქრისტიან — დემოკრატებისგან განსხვავებით, გიორგი თარგამაძეს ხალხი საერთოდ არ აინტერესებდა და იმ პარტიულ სახსრებსაც საკუთრების თვალით უყურებდა, რომელიც წესით პარტიის ფუნქციონირებას, შესაბამისად, მითითებული იდეებისა და იდეალების განხორციელების მცდელობას უნდა მოხმარებოდა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იდეები და იდეალები ვერ განხორციელდებოდნენ. აი ასეთი მოქმედება იქნებოდა თარგამაძის მხრიდან გამართლებული, როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური თვალსაზრისითაც, ასეთი მოქმედება იქნებოდა მისი მხრიდან ჭეშმარიტი მოქმედება, ისეთი მოქმედება, რომელიც წესით ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარი უნდა იყოს, მაგრამ აქაც იმედგაცრუება: თარგამაძემ, ჩანს, ვერაფრით დაძლია მისთვის ესოდენ ახლობელი ვირთხის სინდრომი და თავის ზოგიერთ ამხანაგთან ერთად, საბოლოოდ დაემსგავსა იმ ვირთაგვებს, თორიას რომ გამოჰყავს კასრში (რომანი, კინოფილმი „დათა თუთაშხია“). მაშასადამე, საბოლოო ჯამში გამოდის, რომ გიორგი თარგამაძე, გიორგი ახვლედიანი, ლევან ვეფხვაძე და ძმანი მათნი, პატიოსანი, ნამუსიანი, ერთგული ქრისტიან-დემოკრატების მეგობრები კი იყვნენ, მაგრამ ამაზე დიდი ჭეშმარიტება ის არის, რომ თარგამაძეც, ვეფხვაძეცა და ახვლედიანიც მართლაცდა თაღლითი ვირთხა — ვირთაგვები აღმოჩნდნენ.

ამ ყოველივეს მერე, პატიოსან, ნამუსიან და ერთგულ „ქდმ“— ელებს ისღა დაგვრჩენია, ბოდიში მოვუხადოთ საზოგადოებას იმის გამო, რომ 2008 წლის დასაწყისიდან მოყოლებული მთელი 5 წლის განმავლობაში, ნებსით თუ უნებლიედ, ნამუსი და სინდისი გვწმინდეთ გიორგი თარგამაძეს, გიორგი ახვლედიანსა და ლევან ვეფხვაძეს ქალაქ-ქალაქ, რეგიონ-რეგიონ, რაიონ — რაიონ, სოფელ-სოფელ და შუკა-შუკა. ნამუსი გვწმინდეთ პირველ რიგში იმით, რომ მათგან განსხვავებით არც ერთი წუთით არ გვითანამშრომლია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, „ქდმ“ არც მაშინ გავყიდეთ, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული ოცნება“ გამოჩნდა.

შესაბამისად, ღრმად გასაოცარია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილი გენერალური მდივნის, ამჟამად „გაერთიანებული დემოკრატების“ გენერალური მდივნის (ამავე პარტიიდან თბილისის საკრებულოს წევრის) ზაზა ვეკუას საქციელი, რომლებიც „გემიდან“ მოღალატეობრივად გაქცეულ ვირთხა-ვირთაგვებს კალთას გულმხურვალედ აფარებენ, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრთა და მხარდამჭერთა უმრავლესობის ინტერესებს არად აგდებენ. ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის პრეტენზია გააჩნია, საკუთარი მოქალაქეების მიმართ ასეთი საქციელი არ ეკადრება და თუ მაინც ამგვარად მოქმედებენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლა მეტად სახიფათო იქნება, რადგან ხელისუფლების ხელში აღების შემთხვევაში, ისინი კიდევ უფრო უარესს იკადრებენ, იქნებ საკაშვილსაც კი გადაასწრონ ხალხის ინტერესის იგნორირებაში, მომხვეჭელობასა და უსამართლობის განხორციელებაში. შესაბამისად, იმედია ნინო ბურჯანაძეც, ზაზა ვეკუაც და მათი პარტიის სხვა ხელმძღვანელებიც სასწრაფოდ გაემიჯნებიან აღნიშნულ უსამართლობას და ნებით დათმობენ იმას, რაც მიიტაცეს და არ ეკუთვნით, თუარადა, ვირთხა-ვირთაგვას ეპითეტი მათზეც ალალი იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში, ვირთხა-ვირთაგვას ზედწოდების მათ მიმართაც გამოყენება, მეგობრობაზე აღმატებული ჭეშმარიტების კიდევ ერთი ზუსტი გამოხატულება იქნება.

პარტიის ერთგული
„ქრისტიან—დემოკრატები“

## საერთაშორისო

### გენერალი ბრიდლავი: უკრაინას უნდა დავეხმაროთ!



ნატოს გაერთიანებული ჯარების სარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, რომ უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდება აუცილებელია:

— იარაღის მიწოდება რეგიონში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, მაგრამ მიუწოდებლობა უფრო მეტ დესტაბილიზაციას ნიშნავს, — ამბობს ბრიდლავი.

„ამერიკის ხმის“ ცნობით, თეთრ სახლს უკრაინისათვის იარაღის მიწოდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია. პრეზიდენტი ობამა ყოყმანობს და ამისი მიზეზი ევროპელი პარტნიორების უმრავლესობის პოზიციაა:

— ისინი უკრაინისათვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგნი არიან, რადგანაც შიშობენ, რომ ამის შედეგად კონფლიქტი ახალი ძალით იფეთქებს, - იტყობინება „ამერიკის ხმა“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### გერდ კიონენი: პუტინი რუსეთს ანგრევს!



ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა და პოლიტოლოგმა გერდ კიონენმა განაცხადა, რომ პუტინის პოლიტიკა იმპერიის აღორძინებისკენაა მიმართული და ეს რუსეთს ანგრევს.

— დღევანდელ რუსეთს არ გააჩნია საკმარისი რესურსები საიმისოდ, რათა იმპერია ააღორძინოს! დონბასის ომმა ეს ნათლად წარმოაჩინა, — ამბობს კიონენი.

გერმანელი ექსპერტი დღევანდელ რუსეთსა და 1912-14 წწ-ის გერმანიას შორის პარალელს აკეთებს. კიონენი ასკვნის, რომ როგორც გერმანიის მაშინდელმა ხელისუფლებამ, ისე პუტინმა ვერ გათვალეს, თუ იმპერიის აღორძინების მცდელობები რა შედეგს მოიტანდა:

— გერმანიას ეს პირველ მსოფლიო ომში მარცხად დაუჯდა. შემდეგ იყო ვერსალის დამამცირებელი ზავი, ვეიმარის რესპუბლიკა, შემდეგ მოვიდა ჰიტლერი, რასაც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება და 1945 წლის კატასტროფა მოჰყვა, — ამბობს კიონენი.

გერმანელი სპეციალისტი თვლის, რომ პუტინის პოლიტიკაც კრახისთვისაა განწირული, თუკი რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი არ შეაჩერეს, რუსეთი დაიშლება, — ამბობს კიონენი.

### საფრანგეთი: სარკოზის პარტია ლიდერობს

საფრანგეთში ადგილობრივი არჩევნები დასრულდა. თანახმად ეგზიტპოლის მონაცემებისა, ექსპრეზიდენტ სარკოზის პარტიამ ხმების 31 პროცენტი დააგროვა, მეორეზეა მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტი — 24 პროცენტი, მმართველი სოციალისტური პარტია კი მხოლოდ მესამე ადგილზეა.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### სწავლა

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე ექიმი ეფექტურად ვმკურნალობ სექსუალურ სისუსტესა და უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს ყველა ზომის საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. მკურნალობა სიმბოლურ ფასებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 555 22-05-48. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისგან განკურნება მაღალეფექტური, მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით, ღვიძლის პრობლემის მოწესრიგება, „პახმელიის“,„ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა (პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში). სიგარეტის გადაგდება მცენარეული ნაყენებით, ნერვული სტატუსის მოწესრიგება. 551-19-45-08: 558-20-31-35 ნანა ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახეზე და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქნი მარიამი.

# ბათუმელებმა ზედიზედ მეექვსედ მოიგეს და გალიდერდნენ



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები, რის შემდეგაც სატურნირო ცხრილს სათავეში ბათუმის დინამო ჩაუდგა.

### კოლხეთი – დინამო (თბ) 0:0

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

**კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, თევზაძე, ჩაკვეტაძე, ლემონჯავა, თ.კაკულია, გოგონაია, გურეშიძე, გიგაური (ბარამიძე 87), ნ.სიჭინავა (ქორჩილავა 82), შ.ჯიქია (ლ.შენგელია 81)**

**დინამო: ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, გველესიანი, რენე ფერეირა, თოთაძე, ცინცაძე, ჯანელიძე, კიტეიშვილი (შერგელაშვილი 82), ჩირგაძე, პარუნაშვილი (ჯიღაური 67), ლობჟანიძე (ჭანტურიშვილი 59)**

მნიშვნელოვან ქულებთან ერთად თბილისელებმა ლიდერობაც დაკარგეს – დედაქალაქელებმა ბათუმის „დინამოს" გადასწრების საშუალება მისცეს და 21-ე ტურის შემდეგ მეორე ადგილზე არიან.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა საკუთარი თამაშის ჩვენება ვერ მოახერხეს და ფრე ლოგიკური შედეგია. ის კი არა, ფოთელებს რიგ მომენტებში უფრო ხეირიანად რომ ეთამაშათ, ძლიერ მეტოქესთან სამი ქულის აღებაც შეეძლოთ. მოკლედ, ასეა თუ ისეა, დედაქალაქელებმა ლიდერობა დაკარგეს და ჩემპიონობის შესანარჩუნებლად წინ დიდი ბრძოლები ელით.

### ცხინვალი – დინამო (ბთ) 0:1

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 ქორიძე (42)**

**ცხინვალი: ნადირაძე, თარხნიშვილი, ცერცვაძე, მახარობლიძე, ქარდავა, შინდაგორიძე, ცაცკრიალაშვილი (ივანიშვილი 46), ბაჩიაშვილი (ჯიშკარიანი 83), კილასონია, კაჭკაჭიშვილი, ლექვთაძე (ფანცულაია 72)**

**დინამო: ალავიძე, ქორიძე, ტეტუნაშვილი, მახარაძე, სუხიაშვილი, შონია, ვარშანიძე, ქავთარაძე, დიასამიძე (ჭკუასელი 83), ბერიაშვილი (თევდორაძე 90), ტატანაშვილი (აბუსელიძე 78)**

ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო ბათუმის „დინამომ" და ამის შედეგად გათამაშების ცხრილის სათავეშიც მოექცა. ბათუმელებს საკმაოდ რთული შეხვედრა ჰქონდათ, ისინი „ცხინვალს" ეწვივნენ და მინიმალური ანგარიშით მოუგეს.

ერთადერთი გოლი, 43-ე წუთზე გავიდა – აჭარელთა მცველის, ვაჟა ქორიძის წყალობით ზღვისპირელებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.

### ტორპედო – სამტრედია 3:1

**ქუთაისი. ცენტრალური**

**1:0 კვერნაძე (40), 1:1 ქიმაძე (56სკ), 2:1 კლიმიაშვილი (59), 3:1 ტუღუში (76)**

**ტორპედო: შეყრილაძე, კირკიტაძე (ბაბუნაშვილი 73), მირცხულავა, ქიმაძე, ადამაძე, ზ.ჭელიძე, კლიმიაშვილი (გოგუაძე 79), იოსელიანი, მამასახლისი, ტუღუში, კვერნაძე (კვარაცხელია 63)**

**სამტრედია: თევდორაძე, კაკუბავა, ხიზანიშვილი, კვირკველია (თევზაძე 12), ბეჭვაია, დოლიძე, გეწაძე, კაპანაძე, დათუნაიშვილი, ა.გურული (იაშვილი 71), გორგიაშვილი (კერძევაძე 79)**

ტურის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა შეხვედრამ გულშემატკივართა მოლოდინი სრულად გაამართლა და იმერული დერბი ტრადიციულად კარგი საყურებელი გამოდგა.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა, 41-ე წუთზე ტორპედოელთა ახალგაზრდა ფორვარდმა, ოთარ კვერნაძემ, გაიტანა. მეორე ნახევარი მასპინძელთათვის არც თუ ისე სასიამოვნოდ დაიწყო, 56-ე წუთზე გიორგი ქიმაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ავტოგოლმა რიონისპირელები არ დააბნია და ზუსტად 3 წუთში ირაკლი კლიმიაშვილმა სტატუს კვო აღადგინა.

მატჩის მიწურულს „ტორპედომ" კიდევ ერთხელ გაახარა საკუთარი გულშემატკივარი, 76-ე წუთზე ბექა ტუღუშმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### დილა – ჩიხურა 2:1

**1:0, 2:0 მოდებაძე (8, 73), 2:1 დეკანოიძე (84)**

**დილა: სომხიშვილი, მარიჩი, ბაგაევი, ქარქუზაშვილი, ხურცილავა, ფალავანდიშვილი, გვალია, სეთურიძე, კვეკვესკირი (თექთურმანიძე 82), მოდებაძე (წიქარიძე 90), ახალკაცი (გორელიშვილი 60)**

**ჩიხურა: ქვილითაია, ლუბჩაკი, განუგრავა, მანჯგალაძე (ივანიშვილი 70), კუჭუხიძე (დეკანოიძე 23), მუმლაძე, კორიფაძე, სარდალიშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია**

რამდენიმეკვირიანი ტრავმის შემდეგ ირაკლი მოდებაძე მოედანს დაუბრუნდა და საკუთარი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი გოლებიც გაიტანა. გორელებმა „ჩიხურას" უმასპინძლეს და მინიმალური სხვაობით, 2:1, იმარჯვეს.

„მორემ" პირველი გოლის გატანა მე-8 წუთზე მოახერხა და ადრეული გოლით საკუთარ გუნდს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოუტანა. გამოცდილმა თავდამსხმელმა დუბლი 72-ე წუთზე გაიფორმა და ქართლელთა გამარჯვება ფაქტიურად გარდაუვალი გახადა. მატჩის მიწურულს იმერლებმა ანგარიშის გაქვითვა მოახერხეს, 84-ე წუთზე თავი ბესიკ დეკანოიძემ გამოიჩინა.

### შუქურა – ზესტაფონი 3:1

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**1:0 თუხარელი (61), 2:0 ჩელებაძე (70), 3:0 პუკანიჩი (72), 3:1 გაგოშიძე (87)**

**შუქურა: ჯიოევი, კუხიანიძე, გ.გურული, ჩალაძე, ჩელებაძე, ტვილდიანი, ხოჭოლავა, დორნელესი (მესხი 81), თუხარელი (ხუჭუა 85), ნუნიესი (მეტრეველი 62), პუკანიჩი**

**ზესტაფონი: კუპატაძე, ო.ხიზანეიშვილი, გაგოშიძე, მთივლიშვილი, (გაჩეჩილაძე 75), ვასაძე, რაჟამაშვილი, სიხარულია, სამუშია (ბერიძე 71), კვირკვია (ჯერემია 71), ილურიძე, მჭედლიშვილი**

წარმატებულ სვლას განაგრძობს ქობულეთის „შუქურა", ქობულეთლებმა ამჯერად „ზესტაფონი" დაამარცხეს.

„ჩელე არენაზე" გამართული მატჩი უხვგოლიანი გამოდგა, მასპინძლებმა იმერლები ანგარიშით, 3:1, დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა გოლი თამაშის ბოლო 30 წუთეულში გავიდა. ანგარიში 61-ე წუთზე თორნიკე თუხარელმა გახსნა, ამას მალევე ჩელებაძისა და პუკანიჩის გოლებიც მოჰყვა, პირველმა მათგანმა თავი 70-ე წუთზე გამოიჩინა, უკრაინელმა ლეგიონერმა კი, 72-ზე შეაგდო. მარგვლელებმა პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს, ეს 87-ე წუთზე მალხაზ გაგოშიძემ გააკეთა.

### მერანი – გურია 1:0

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

**1:0 გეგეჭკორი (67)**

**მერანი: მამალაძე, მელიავა, ლომაშვილი, ორბელაძე, კიკნაველიძე, ფონიავა, წურწუმია (ფიფია 82), ჯღამაია, ს.ლომია (ქაჯაია 90), გეგეჭკორი, დ.ციცხვაია (შულაია 55)**

**გურია: იმერლიშვილი, ცინცაძე, კილაძე, ჭეიშვილი, მჭედლიშვილი, გაბრიჩიძე (წილოსანი 80), ზოზულია, კოშკაძე, ისიანი (ინგოროყვა 80), შალამბერიძე, მათიაშვილი**

შვიდმატჩიანი წარუმატებელი სერიის შემდეგ მარტვილის „მერანმა" გამარჯვება იზეიმა. მარტვილელებმა „მურთაზ ხურცილავაზე" „გურიას" უმასპინძლეს და ლევან გეგეჭკორის გოლის წყალობით მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს სტუმრები.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, ეს ყვითელი ბარათების რაოდენობიდანაც კარგად ჩანს, ორივე გუნდს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და ეს დაძაბულობა სწორედ ამით იყო გამოწვეული.

### ვიტ ჯორჯია – ზუგდიდი 2:0

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

**1:0 ლობჟანიძე (11), 2:0 კურდღელაშვილი (38)**

**ვიტ ჯორჯია: შეროზია, გეთიაშვილი, საბაძე, ჩიტიშვილი, თათხაშვილი, მაისურაძე, დავლაშელიძე, კახაბრიშვილი (ღიბრაძე 76), გახარია, კურდღელაშვილი (ხვისტანი 88), ლობჟანიძე (კუხალეიშვილი 85).**

**ზუგდიდი: ბობღიაშვილი, აკობია, ღონღაძე, მაჩაიძე (ქირია 77), კუტალია, ლომია (კუკავა 60), წურწუმია (ფარჯიკია 46), გუგუჩია, ენდელაძე, კობერიძე, ეხვაია**

დანიშვნიდან ორი ტურის შემდეგ თენგიზ კობიაშვილმა გუნდს პირველი სამი ქულაც მოაპოვებინა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვეტერინარებმა გასულ ტურშიც ნორმალურად იასპარეზეს და გათამაშების ლიდერ, ბათუმის „დინამოს", სტუმრად დიდი ბრძოლა გაუმართეს.

ამჯერად მათი მეტოქე „ზუგდიდი" იყო და ვიტელებმა 2:0 დაამარცხეს მეტოქე. ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა, ზედიზედ მეორე მატჩში გოლის გატანა ელგუჯა გრიგალაშვილმა მოახერხა. საბოლოო ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს დაფიქსირდა, მე-40 წუთზე გოლის ავტორად „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი ყველა გამორჩეული მოთამაშე, ვანო კურდღელაშვილი მოგვევლინა. ამ გამარჯვებით თბილისელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსები შეინარჩუნეს.

### მეტალურგი – სიონი 1:2

**რუსთავი. ფოლადი**

**1:0 ნოზაძე (27), 1:1 სიჭინავა (68), 1:2 უგულავა (84)**

**მეტალურგი: ბედიაშვილი, ბარამიძე, ნოზაძე, ნარიმანიძე, გელაშვილი, გ.კილასონია, სარიშვილი, ბერუაშვილი, ჯოხაძე (სტეფნიაშვილი), შენგელია (ჩიკვაიძე), ბარაბაძე (გაბაშვილი)**

**სიონი: მერლანი, გურეშიძე, ჯინჭარაშვილი (უგულავა), მოსემღვდლიშვილი, საჯაია, გაფრინდაშვილი (და სილვა), ცნობილაძე, გოგობერიშვილი, სიჭინავა, ჭიკაიძე (ჭანკოტაძე), ლუსი**

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ „სიონმა" გამარჯვების გემო გაიხსენა. ბოლნისელები რუსთავს ესტუმრნენ და ადგილობრივი „მეტალურგი" მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, 27-ე წუთზე თავი ლუკა ნოზაძემ გამოიჩინა. როგორც უკვე მოგახსენეთ, რუსთაველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ლადო ბურდულის შეგირდებმაც თამაშის მიწურულსღა მოახერხეს უპირატესობის მოპოვება. ჯერ 68-ე წუთზე დათა სიჭინავამ აღადგინა წონასწორობა, შემდეგ კი, ჯაბა უგულავამ გაიტანა გამარჯვების გოლი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 21 | 13 | 3 | 5 | 27-16 | 42 |
| 2.დინამო (თბ) | 21 | 13 | 3 | 5 | 34-17 | 42 |
| 3.დილა | 21 | 12 | 5 | 4 | 31-16 | 41 |
| 4.სამტრედია | 21 | 10 | 4 | 7 | 26-18 | 34 |
| 5.სპარტაკი | 21 | 10 | 3 | 8 | 20-26 | 33 |
| 6.შუქურა | 21 | 8 | 6 | 7 | 24-21 | 30 |
| 7.ჩიხურა | 21 | 8 | 6 | 7 | 27-24 | 30 |
| 8.გურია | 21 | 7 | 8 | 6 | 19-26 | 29 |
| 9.ტორპედო | 21 | 6 | 9 | 6 | 25-22 | 27 |
| 10.მერანი | 21 | 6 | 7 | 8 | 16-20 | 25 |
| 11.მეტალურგი | 21 | 6 | 6 | 9 | 20-23 | 24 |
| 12.ზესტაფონი | 21 | 5 | 8 | 8 | 38-36 | 23 |
| 13.კოლხეთი | 21 | 5 | 7 | 9 | 16-25 | 22 |
| 14.ზუგდიდი | 21 | 5 | 6 | 10 | 13-25 | 21 |
| 15.სიონი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-33 | 20 |
| 16.ვიტ ჯორჯია | 21 | 4 | 4 | 13 | 19-27 | 16 |

# ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა

ზაზა ფაჩულიამ ფენომენალური მატჩის შემდეგ ისეთი შედეგი ვეღარ დააფიქსირა, მაგრამ ცუდად არც „კლივლენდთან" თამაშია და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. მისმა „მილუოკიმ" კი, ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან" საშინაო მატჩი 90:108 წააგო.

ფაჩულიამ მოედანზე 31 წუთი გაატარა და 11 ქულა, 9 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 7-დან 5 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

„კლივლენდის" მაისურით ცენტრის პოზიციაზე რუსი ტიმოფეი მოზგოვი თამაშობდა, რომელმაც ფაჩულიასთან პაექრობაში 10 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„ბაქსმა" ზედიზედ მეექვსედ წააგო და ჯამში 36 მარცხი მოუგროვდა (34 გამარჯვების წილ) და კონფერენციაში კვლავ მე-6 პოზიციაზე რჩება, მაგრამ უკვე საფრთხე გაჩნდა იმისა, რომ „ხარირმები" პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

მილუოკელები მომდევნო მატჩს 25 ერთ-ერთ მდევარ „მაიამისთან" ჩაატარებენ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული–მანჩესტერი ............ 1:2
ქპრ–ევერტონი ............ 1:2
ჰალი–ჩელსი ............ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 29 | 20 | 7 | 2 | 61-25 | 67 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 7 | 5 | 62-28 | 61 |
| 3.არსენალი | 30 | 18 | 6 | 6 | 58-31 | 60 |
| 4.მანჩესტერი | 30 | 17 | 8 | 5 | 52-27 | 59 |
| 5.ლივერპული | 30 | 16 | 6 | 8 | 44-32 | 54 |
| 6.საუთჰემპტონი | 30 | 16 | 5 | 9 | 42-21 | 53 |
| 7.ტოტენჰემი | 30 | 16 | 5 | 9 | 50-45 | 53 |
| 8.სუონსი | 30 | 12 | 7 | 11 | 34-38 | 43 |
| 9.ვესტ ჰემი | 30 | 11 | 9 | 10 | 40-37 | 42 |
| 10.სტოკი | 30 | 12 | 6 | 12 | 34-37 | 42 |
| 11.კრ. პალასი | 30 | 9 | 9 | 12 | 36-41 | 36 |
| 12.ნიუკასლი | 30 | 9 | 8 | 13 | 33-48 | 35 |
| 13.ევერტონი | 30 | 8 | 10 | 12 | 38-42 | 34 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 8 | 9 | 13 | 27-39 | 33 |
| 15.ჰალი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-40 | 28 |
| 16.ასტონ ვილა | 30 | 7 | 7 | 16 | 19-39 | 28 |
| 17.სანდერლენდი | 30 | 4 | 14 | 12 | 23-44 | 26 |
| 18.ბარნლი | 30 | 5 | 10 | 15 | 26-49 | 25 |
| 19.ქპრ | 30 | 6 | 4 | 20 | 31-54 | 22 |
| 20.ლესტერი | 29 | 4 | 7 | 18 | 27-48 | 19 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

დეპორტივო–ესპანიოლი ............ 0:0
ვილიარეალი–სევილია ............ 0:2
სოსიედადი–კორდობა ............ 3:1
ბარსელონა–რეალი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 22 | 2 | 4 | 80-17 | 68 |
| 2.რეალი | 28 | 21 | 1 | 6 | 78-26 | 64 |
| 3.ვალენსია | 28 | 18 | 6 | 4 | 52-22 | 60 |
| 4.ატლეტიკო | 28 | 18 | 5 | 5 | 53-23 | 59 |
| 5.სევილია | 28 | 17 | 4 | 7 | 51-33 | 55 |
| 6.ვილიარეალი | 28 | 14 | 7 | 7 | 43-26 | 49 |
| 7.მალაგა | 28 | 13 | 5 | 10 | 31-31 | 44 |
| 8.ბილბაო | 28 | 11 | 6 | 11 | 27-33 | 39 |
| 9.სოსიედადი | 28 | 9 | 9 | 10 | 33-37 | 36 |
| 10.სელტა | 28 | 9 | 8 | 11 | 29-31 | 35 |
| 11.რაიო | 28 | 11 | 2 | 15 | 33-50 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 32-37 | 34 |
| 13.ხეტაფე | 28 | 8 | 5 | 15 | 24-39 | 29 |
| 14.ეიბარი | 28 | 7 | 7 | 14 | 26-38 | 28 |
| 15.ელჩე | 28 | 7 | 6 | 15 | 23-52 | 27 |
| 16.დეპორტივო | 28 | 6 | 8 | 14 | 23-44 | 26 |
| 17.ალმერია | 28 | 6 | 7 | 15 | 23-42 | 25 |
| 18.ლევანტე | 28 | 6 | 7 | 15 | 23-52 | 25 |
| 19.გრანადა | 28 | 4 | 11 | 13 | 18-43 | 23 |
| 20.კორდობა | 28 | 3 | 9 | 16 | 20-46 | 18 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რასინგი–სარაგოსა ............ 0:2
ლუგო–ალავესი ............ 3:2
ხირონა–საბადელი ............ 0:0
ხიხონი–უელვა ............ 1:1
პონფერადინა–ვალიადოლიდი ............ 2:0
ტენერიფე–ოსასუნა ............ 2:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი–ვოლფსბურგი ............ 1:1
ბაიერნი–გლადბახი ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 20 | 4 | 2 | 70-13 | 64 |
| 2.ვოლფსბურგი | 26 | 16 | 6 | 4 | 57-29 | 54 |
| 3.გლადბახი | 26 | 13 | 8 | 5 | 37-20 | 47 |
| 4.ლევერკუზენი | 26 | 12 | 9 | 5 | 45-29 | 45 |
| 5.შალკე | 26 | 11 | 6 | 9 | 37-31 | 39 |
| 6.აუგსბურგი | 26 | 12 | 2 | 12 | 33-34 | 38 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 26 | 10 | 7 | 9 | 40-38 | 37 |
| 8.აინტრახტი | 26 | 9 | 7 | 10 | 49-52 | 34 |
| 9.ვერდერი | 26 | 9 | 7 | 10 | 41-54 | 34 |
| 10.დორტმუნდი | 26 | 9 | 6 | 11 | 34-33 | 33 |
| 11.მაინცი | 26 | 6 | 12 | 8 | 35-36 | 30 |
| 12.კიოლნი | 26 | 7 | 9 | 10 | 26-32 | 30 |
| 13.ჰერტა | 26 | 8 | 5 | 13 | 31-44 | 29 |
| 14.ჰანოვერი | 26 | 7 | 6 | 13 | 29-42 | 27 |
| 15.ფრაიბურგი | 26 | 5 | 10 | 11 | 26-36 | 25 |
| 16.ჰამბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 16-37 | 25 |
| 17.პადერბორნი | 26 | 5 | 9 | 12 | 23-50 | 24 |
| 18.შტუტგარტი | 26 | 5 | 8 | 13 | 27-46 | 23 |

### გერმანია. მე–2 ბუნდესლიგა

კარლსრუე–კაიზერი ............ 0:0
ჰაიდენჰაიმი–ლაიპციგი ............ 1:0
აუე–ფიურტი ............ 0:0

### იტალია. სერია ა

ემპოლი–სასუოლო ............ 3:1

*ემპოლის მეორე გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა*

იუვენტუსი–ჯენოა ............ 1:0
ლაციო–ვერონა ............ 2:0
ნაპოლი–ატალანტა ............ 1:1
პარმა–ტორინო ............ 0:2
სამპდორია–ინტერი ............ 1:0
უდინეზე–ფიორენტინა ............ 2:2
ჩეზენა–რომა ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 20 | 7 | 1 | 55-14 | 67 |
| 2.რომა | 28 | 14 | 11 | 3 | 39-21 | 53 |
| 3.ლაციო | 28 | 16 | 4 | 8 | 51-27 | 52 |
| 4.სამპდორია | 28 | 12 | 12 | 4 | 37-28 | 48 |
| 5.ნაპოლი | 28 | 13 | 8 | 7 | 47-36 | 47 |
| 6.ფიორენტინა | 28 | 12 | 10 | 6 | 41-31 | 46 |
| 7.ტორინო | 28 | 10 | 9 | 9 | 32-30 | 39 |
| 8.მილანი | 28 | 9 | 11 | 8 | 41-35 | 38 |
| 9.ინტერი | 28 | 9 | 10 | 9 | 42-36 | 37 |
| 10.ჯენოა | 27 | 9 | 10 | 8 | 37-33 | 37 |
| 11.პალერმო | 28 | 8 | 11 | 9 | 38-41 | 35 |
| 12.უდინეზე | 27 | 8 | 9 | 10 | 31-36 | 33 |
| 13.ემპოლი | 28 | 6 | 15 | 7 | 30-30 | 33 |
| 14.სასუოლო | 28 | 7 | 11 | 10 | 34-43 | 32 |
| 15.კიევო | 28 | 8 | 8 | 12 | 21-30 | 32 |
| 16.ვერონა | 28 | 8 | 8 | 12 | 33-48 | 32 |
| 17.ატალანტა | 28 | 5 | 11 | 12 | 23-38 | 26 |
| 18.კალიარი | 28 | 4 | 9 | 15 | 34-53 | 21 |
| 19.ჩეზენა | 28 | 4 | 9 | 15 | 25-49 | 21 |
| 20.პარმა | 26 | 3 | 3 | 20 | 21-53 | 9 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი–ლილი ............ 2:0
რეიმსი–მონაკო ............ 1:3
ლანსი–მარსელი ............ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 16 | 11 | 3 | 55-28 | 59 |
| 2.ლიონი | 30 | 17 | 7 | 6 | 57-24 | 58 |
| 3.მარსელი | 30 | 17 | 6 | 7 | 60-31 | 57 |
| 4.მონაკო | 29 | 15 | 8 | 6 | 35-21 | 53 |
| 5.სტ. ეტიენი | 30 | 14 | 10 | 6 | 37-24 | 52 |
| 6.ბორდო | 30 | 13 | 9 | 8 | 38-37 | 48 |
| 7.მონპელიე | 29 | 13 | 6 | 10 | 39-32 | 45 |
| 8.ლილი | 30 | 11 | 8 | 11 | 27-26 | 41 |
| 9.ნანტი | 30 | 10 | 10 | 10 | 24-30 | 40 |
| 10.გენგამი | 30 | 12 | 3 | 15 | 32-41 | 39 |
| 11.რენი | 30 | 10 | 9 | 11 | 28-37 | 39 |
| 12.ნიცა | 30 | 10 | 7 | 13 | 33-37 | 37 |
| 13.ბასტია | 30 | 9 | 10 | 11 | 30-34 | 37 |
| 14.კაენი | 30 | 9 | 8 | 13 | 44-44 | 35 |
| 15.რეიმსი | 30 | 9 | 8 | 13 | 36-50 | 35 |
| 16.ევიანი | 30 | 11 | 2 | 17 | 32-46 | 35 |
| 17.ლორიანი | 30 | 10 | 4 | 16 | 34-41 | 34 |
| 18.ტულუზა | 30 | 9 | 5 | 16 | 31-49 | 32 |
| 19.ლანსი | 30 | 6 | 7 | 17 | 27-47 | 25 |
| 20.მეცი | 30 | 5 | 8 | 17 | 22-42 | 23 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ზვოლე–ექსელსიორი ............ 1:1
გრონინგენი–ტვენტე ............ 2:2
ფეიენოორდი–პსვ ............ 2:1
აიაქსი–დენ ჰააგი ............ 1:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

აროუკა–ჟილ ვისენტე ............ 3:1
ბოავიშტა–ბელენენსეში ............ 1:0
მორეირენშე–მარიტიმუ ............ 1:1
სპორტინგი–გიმარაეში ............ 4:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

დინამო–ზენიტი ............ 0:1
მორდოვია–ლოკომოტივი ............ 0:0
ყუბანი–ტერეკი ............ 1:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

ვადუცი–სტ.გალენი ............ 3:1
სიონი–თუნი ............ 3:0
იანგ ბოიზი–ციურიხი ............ 3:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ნოიშტადი–რაპიდი ............ 0:1

### ბელგია. თასი

**ფინალი**

ბრიუგე–ანდერლეხტი ............ 2:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი–ატრომიტოსი ............ 1:0
ასტერასი–ერგოტელისი ............ 2:1
ოლიმპიაკოსი–კერკირა ............ 3:0
ვერია–პანათინაიკოსი ............ 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ისთანბული–გენჩლერი ............ 3:1
ტრაბზონი–აკხისარი ............ 2:0
ფენერბახჩე–ბეშიქთაში ............ 1:0

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

პლზენი–ლიბერეცი ............ 2:0
ბოჰემიანსი 1905–დუკლა ............ 0:0
ბრნო–სლავია ............ 3:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პოდბესკიჟიე–იაგელონია ............ 1:0
პიასტი–კორონა ............ 1:2
ლეხი–ლეგია ............ 2:1

### დანია. სუპერლიგა

სილკებორგი–ნორდსიელანდი ............ 2:2
ოლბორგი–სონდერიისკე ............ 1:4
ვესტშელანი–ბრონდბიუ ............ 0:1
კოპენჰაგენი–რანდერსი ............ 1:1

### შვედეთი. თასი

იორებრო–ელფსბორგი ............ 2:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
599-90-54-78, 234-02-38



## პოლონეთ-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდრო ხდება

პოლონეთის ქალაქ სოხაჩოვში პოლონეთ-აშშ-ს სამხედრო სწავლებები დაიწყო. მას პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ტომაშ სიმონიაკი და აშშ-ს ელჩი პოლონეთში მალომი დაესწრნენ:

— ამერიკა ჩვენი მოძმე სახელმწიფოა! ამერიკელი ჯარისკაცების პოლონეთის ტერიტორიაზე ყოფნა ჩვენი დამოუკიდებლობისა და მშვიდობის გარანტიაა, — განაცხადა სიმონიაკმა.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში პოლონეთ-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება.

## დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ელჩის მუქარის პასუხად ოფიციალური განცხადება გააკეთა. როგორც ცნობილია, რუსეთის ელჩმა დანიაში მიხეილ ვანინმა ადგილობრივ მთავრობას ღია მუქარით მიმართა:

— თუკი დანია ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას შეუერთდება, ჩვენ მას ფერფლად ვაქცევთ!

დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთი ტონი ცივილიზებული ქვეყნების წარმომადგენლებისათვის მიუღებელია:

— ვერანაირი მუქარა და შანტაჟი ვერ გვაიძულებს, რათა არჩეული კურსიდან გადავუხვიოთ, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსი ელჩის საქციელმა მთელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე რადიკალური რეაქცია კი დანიელ ნაციონალისტებს ჰქონდათ. მათ ქვეყნიდან რუსეთის ელჩის გაძევება და მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა მოითხოვეს:

— როგორც ჩანს, რუსი დიპლომატები ზრდილობასთან უკაცრავად არიან! კეთილი და პატიოსანი, რაკი თავის დროზე დედამ მათ ზრდილობა არ ასწავლა, ამას ჩვენ გავაკეთებთ, — ნათქვამია მათ განცხადებაში.

## რუმინეთმა რუსულ გაზზე უარი თქვა

რუმინეთმა რუსულ გაზზე უარი განაცხადა. სააგენტო უნიანის ცნობით, ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც განხორციელდა რეფორმა და საწარმოები დიდი რაოდენობით გაზს აღარ საჭიროებენ.

— უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა რუმინეთმა რუსული გაზის მოხმარებაზე უარი თქვა, — იტყობინება უნიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## უზბეკეთში საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი აიღეს

უზბეკეთის ქალაქ ანგანში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლი აიღეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა:

— აღნიშნული ძეგლი 1967 წელს დაიდგა და ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი დემონტაჟიც ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით განხორციელდა.

ამავე დროს უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა განაცხადა, რომ უზბეკეთმა მეორე მსოფლიო ომში მეტისმეტად დიდი მსხვერპლი გაიღო და ეს გაუმართლებელი იყო.

— საკითხავია, იყო თუ არა ეს ომი ჩვენი ომი, — თქვა ქარიმოვმა.

უზბეკეთში კარგა ხანია გაისმის მოსაზრება, რომ მეორე მსოფლიო ომი უზბეკეთისათვის სამამულო ომს არ წარმოადგენდა. პრეზიდენტმა ქარიმოვმაც 9 მაისი არა გამარჯვების, არამედ ხსოვნის დღედ გამოაცხადა. ახლა ზოგიერთი მოღვაწე უფრო შორს წავიდა, ისინი თვლიან, რომ პატივი უნდა სცენ ყველა უზბეკის ხსოვნას, რომლებიც ომში იბრძოდნენ:

— ჩვენები არა მხოლოდ წითელი არმიის, არამედ თურქესტანული ლეგიონისა და უპას (უკრაინის აჯანყებულთა არმია) რიგებშიც იყვნენ. დადგა დრო, რათა მათი უფლებები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა უფლებებს გაუთანასწორდეს, — ამბობს პროფესორი ისმაილოვი.

პრეზიდენტი ქარიმოვი ამას საჯაროდ გაემიჯნა:

— ჩემთვის ასეთი შეხედულებები მიუღებელია, — თქვა მან.



## იუმორი

***

აღდგომის დღესასწაულზე გურულმა ტაქსი გამოიძახა სოფელში წასასვლელად და დედის საფლავზე კვერცხის გადასაგორებლად. მძღოლი სიჩქარის მოყვარული გამოდგა და მანქანას მთელი სისწრაფით მიაქროლებს. გურულმა ითმინა, ითმინა, მაგრამ, ქუთაისს რომ მიუახლოვდნენ, ვეღარ მოითმინა და მძღოლსეუბნება:

— ახლა, ძამა, თლა ხელში ნუ მიმაცემინებ ამ კვერცხებს დედაჩემიზა.

***

აფთიაქში მსუქანი ქალი შევიდა, თან ხელში ფუნთუშა უჭირავს და მადიანად ილუკმება. გამყიდველთან მივიდა და ეუბნება:

— ყველგან ვიკითხე, მაგრამ არ ჰქონდათ... იქნებ თქვენ გქონდეთ რაიმე იაფი და ეფექტური გასახდომი საშუალება?

— გვაქვს, ქალბატონო, პლასტირი. ძალიან ეფექტურია. — მართლა? და სად უნდა მივიკრა?

— პირზე!

***

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

— მესმოდა, გუშინ როგორ ჩხუბობდით შენ და შენი მეუღლე და როგორ დასრულდა თქვენი ჩხუბი?

— მუხლებზე დამხობილი მოხოხდა...

— რაო, რა გითხრა?

— საწოლის ქვეშიდან გამოეთრიე, შე მშიშარაო!

***

პროქტოლოგს ხელი პაციენტის უკანალში გაეჭედება, ასევე მიადგება მთავარ ექიმს და ეკითხება:

— რა ვქნა ახლა მე?

— რა უნდა ქნა?.. აწი თოჯინების თეატრში თუ დაიწყებ მუშაობას, თორემ მე ვერაფრით დაგეხმარები.

***

ავტობუსის მკვეთრად დამუხრუჭების დროს მამაკაცმა თავი ვერ შეიმაგრა და გვერდით მდგომ ქალს ჩაეხუტა.

— უკაცრავად, მაპატიეთ, სპეციალურად არ გამიკეთებია... — მოუბოდიშა მამაკაცმა.

— აი, ეს კი საწყენია! — გაბრაზებით ახედა ქალმა.

***

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— მართლა დაშორდი შეყვარებულს?

— ჰო, მართალია.

— კი მაგრამ, ერთი წელი არ ხვდებოდით ერთმანეთს?

— ჰოდა, მთელი იმ ერთი წლის მანძილზე ტვინს მიჭამდა; არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ, არ გიყვარვარო, ჰოდა, დამაჯერა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პოლიტიკა ვახტანგ მაისაია: დასავლეთთან ინტეგრაცია რომ შევაჩეროთ, რუსეთი მთლიანად დაგვიპყრობს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

იდეალური მომენტი საქართველოს 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა. უბრალოდ, სწორად რომ დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო გეგმა, შეიძლებოდა ცხინვალი დაგვებრუნებინა, მაგრამ იმ დროინდელმა ხელისუფლებამ არასწორი და დილეტანტური გათვლა გააკეთა. ამით მთლიანად მოსპო ეს საშუალება. ამიტომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს, გარდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიმართვისა და მათ მიერ რაღაც ფორმების მოძიებისა. რუსეთის ახლანდელი განცხადებები სიგნალური დიპლომატიის მანიშნებელია. როგორც 1993 წელს, ახლაც გვაძლევს სიგნალს, რომ საქართველომ შეცვალოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. როგორც 1993 წელს, სოხუმის დაცემის შემდეგ, იძულებული ვიყავით, დაგვეტოვებინა აფხაზეთი და დაგვეწყო ვაჭრობის დონის მოლაპარაკება, საქართველო გაწევრიანებულიყო დსთ-ში და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები მოეყვანა ხელისუფლებაში (რაც იმ დროს შევარდნაძემ გააკეთა), შეიძლება იგივეს ნიშნავს ახლანდელი განცხადებაც.

***— ნატოს პოზიციას როგორ აფასებთ?***

— ნატომ დააფიქსირა, რომ ამ ხელშეკრულებას არ ცნობს და არაკანონიერ, საერთაშორისო სამართლის შემბღალავ გარემოებად მიიჩნევს. უკრაინისაგან განსხვავებით, საქართველოში ღია ომს გადავრჩით, მაგრამ ფარული, ლატენტური ომი სახეზეა.

***— 2008 წელს ჩვენთანაც იყო ღია ომი.***

— 2008 წელსაც იყო საკმაოდ დიდი საერთაშორისო გამოხმაურება. საქართველოს გამოეყო 4 მილიარდი დოლარი, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. გარკვეულწილად, ამერიკულმა მხარემ კუნთების დემონსტრირება მოახდინა, როდესაც თავისი სამხედრო გემები შემოიყვანა ჯერ ნეიტრალურ წლებში, ხოლო შემდეგ, როდესაც რუსები შიდა ტერიტორიებიდან გავიდნენ, ფოთში, რამაც რუსული მხარე აიძულა, დაეწყო დეოკუპაციაზე ზრუნვა, შიდა ტერიტორიებიდან შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის გაყვანა დაეჩქარებინა. ნატომ შემოიღო ოთხმხრივი დიალოგის ფორმატი, ეს იყო ოთხმხრივი კომისიის შექმნა. ეს ერთგვარი ჟესტი იყო რუსეთისთვისაც.

***— თუკი დღეს საქართველო დააფიქსირებს, რომ აჩერებს ნატოში შესვლასა და ევროპასთან ასოცირებას, რუსეთი ჩვენს ტერიტორიებზე ხელს აიღებს?***

— ეს ნაკლებად შეცვლის მდგომარეობას. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ევროატლანტიკური კურსი. რუსეთი ისეთ დონეზეა მისული, რომ ყველა ვარიანტში წამოვა ყველა ძალით. დასავლეთთან ინტეგრაცია რომ შევაჩეროთ და ეს ბერკეტებიც დავკარგოთ, მთლიანად რუსეთის შემადგენლობაში აღმოვჩნდებით. ევრაზიული ორიენტაცია დამღუპველი იქნება, რადგან რუსეთი აგრესიას ყველა ვარიანტში განახორციელებს. ამ დროს თუ ჩვენ დასავლეთთან ურთიერთობები გვექნება, სუვერენიტეტს მაინც შევინარჩუნებთ. რუსეთის მთავარი იდეაა, გადაჭრას საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი. ნახეთ, ხურვალეთთან სად არის ჩვენი პოსტი და სად არიან რუსები შემოსული. ისინი იმყოფებიან სოფელ ყარაფილას მიდამოებში. სტრატეგიულ მაგისტრალამდე 2 კილომეტრია. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ერთ მონაკვეთზე ნავთობსადენი გადასულია მათი კონტროლის ქვეშ, ანუ აღნიშნული სტრატეგიული ობიექტი უკვე მათი გავლენის ქვეშაა. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული ე.წ. ინტეგრაციის ხელშეკრულება ამოქმედდება, კიდევ უფრო ამოქმედდება მცოცავი ოკუპაციის მასშტაბებიც.

***— ამ ე.წ. მცოცავი ოკუპაციისა და საზღვრის ფიქსაციის რაღაცნაირად შეჩერება არ შეგვიძლია? ვთქვათ, ჩვენი სამხედრო ძალებით კონტროლი რომ დავაფიქსიროთ და აქეთ წამოწევის საშუალება რომ არ მივცეთ, არ შეიძლება?***

— როგორ არ შეიძლება. წესით, თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ და შეიარაღებული ძალა გვყავს, შეგვიძლია შევაჩეროთ აღნიშნული პროცესი. მავთულხლართების გაბმა რომ დაიწყება, შეიძლება გამოვიყენოთ ძალა და ისინი გავყაროთ, ელემენტარულად. შეიძლება ამას მოჰყვეს ინციდენტი, მაგრამ ჩვენს უფლებას დავაფიქსირებთ. ამისთვის ვერავინ გაგვამტყუნებს. რუსეთი ამის გამო ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს არ დაიწყებს.

***— ანუ საჭიროა უკვე არსებულ ოკუპაციის ხაზთან განლაგდეს რაღაც ძალები, რომლებიც ხელს შეუშლის მათი მხრიდან ოკუპაციის ხაზის გაფართოებას და უზრუნველყოფს ტერიტორიისა და სოფლების დაცვას.***

— დიახ, მაგრამ რას ფიქრობს თავდაცვის სამინისტრო, არ ვიცი. რაში გვჭირდება შეიარაღებული ძალები, თუ ასეთ სიტუაციაში არ გამოვიყენებთ? ოკუპაციის ხაზთან მხოლოდ ერთი სტაციონარული პოსტი არსებობს ხურვალეთთან. ოკუპაციის ხაზის გასწვრივ სტაციონარული პოსტების მთელი ქსელი უნდა არსებობდეს, რომ რუსები და ოსები ამით მაინც შევაკავოთ. როდესაც იქ იქნება ჩვენი შეიარაღებული ძალების ნაწილები, აფხაზები, ოსები და რუსები ვეღარ გაბედავენ ტერიტორიის მიტაცების გაგრძელებას. მე ვიყავი ყარაფილაში და იქიდან ლია ტოკლიკიშვილთან ერთად ორჭოსანში გადავედით. ყარაფილასთან გავლებულია მავთულხლართი და მთელი სახნავ-სათესები ათვისებულია მათ მიერ. ორჭოსანში, იქვე, ორ კილომეტრში აშენებულია რუსული სამხედრო ქალაქი, საიდანაც პირდაპირ აკონტროლებენ ყველა მიმართულებით. ადამიანებმა გვითხრეს, რომ დილით გავიღვიძეთ და უკვე შემოჭრილები იყვნენ ჩვენს ტერიტორიაზეო. ყარაფილას სასაფლაო არის ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ ახლა უკვე ყარაფილას სასაფლაოსაც ეპოტინებიან. ჩვენი იქ ყოფნის დროს მობილური ჯგუფი მოვიდა (შეიძლება ჩვენ დაგვინახეს და იმიტომ მოვიდნენ), გადმოვიდნენ, შემოგვხედეს, ჩასხდნენ და წავიდნენ. იქ ორი პოსტია. ყარაფილას ბოლოში და მის შემდგომ სოფელში საზღვართან. პოლიციამ რომ დაგვინახა, ჟურნალისტები მოვიდნენო, საერთოდ გაიქცა. დავაბრუნებინეთ და ლია ეხვეწებოდა, შეტაკება რომ მოხდეს, ხომ დაგვიცავთო. პოლიციელს გაეცინა, მხოლოდ ერთი კაცი გახლდათ. ისიც გაქცევაზე იყო. თქვენ კი არა, ჩემი თავი ვერ დამიცავსო.

***— ჩვენ ვინმე დაგვადანაშაულებს ან პასუხს მოგვთხოვს, იქ ჩვენი ძალები რომ განვალაგოთ ტერიტორიის დასაცავად?***

— არა. ოკუპაციის ხაზის გასწვრივ, სადაც არის სარისკო ზონები, იქ მაინც განთავსდნენ ჩვენი ძალები, რომ რუსები მეტად ვეღარ შემოიჭრან. როდესაც იქ ავტომატიანი ხალხი იდგება, ამდენს ვეღარ გაბედავენ. თუ გაბედავენ, ელემენტარულად, პასუხს გასცემენ. პოსტებთან ევროკავშირის თითო წარმომადგენელიც უნდა იდგეს, ანუ მოძრავი მონიტორინგი მათ ჩაატარონ. შეიარაღებული შეტაკება რომ მოხდეს, ფაქტი დაფიქსირდეს. ევროკავშირის სამხედრო მისია რომ დააფიქსირებს, შეტაკება მოხდა ამ მიზეზის გამო, ის უკვე დოკუმენტური დადასტურება იქნება იმ ფაქტებისა, რასაც რუსები და ოსები მიმართავენ.

## hჳxცდxჳლბ ,

**შვეულად:** 1. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 2. ინგლისელი მიკრობიოლოგი, რამდენიმე ვიტამინის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 5. კატასტროფა, წარღვნა; 10. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 11. კინოს ძველი სახელწოდება; 12. ყავის მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 13. შტატი აშშ-ში; 16. ესთეტიკური განცდის უნარი; 17. სამღებროების რიგი ძველ თბილისში; 19. დედამიწის ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად გამყოფი წარმოსახვითი ხაზი; 21. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 23. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად:** 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7, სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 8. ავტონომიური ოლქი სამხრეთ ესპანეთში; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირისახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 20. ბაღი ძველ ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 24. გეომეტრიული სხეული; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეჯბ hჳxცდxჳლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 5. დიანა; 7. დეკოლტე; 9. ტეტროდი; 10. ალქიმია; 13. ტექნიკა; 14. გოფერი; 15. სერი; 19. ეგვტერი; 20. ალუვიური; 21. ვიზიტიორი; 22. ლივერი.

**შვეულად:** 1. ბარტყი; 2. ზვირთი; 3. დეკაგონი; 4. სტილბი; 6. ნოვატორი; 8. ადეპტი; 11. კონგრესი; 12. კენგურუ; 16. სესხი; 17. პლატო; 18. კოლტი.

## fcnhjghjuyjpb 24 მარტისთვის

**24 მარტი _ სიახლის დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ნურავის ენდობით, თქვენთვის იყავით. **ტყუპები** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** — ცხოვრება გეცვლებათ და ეს თქვენთვის ძალიან კარგია. **ლომი** — გახარებული ხართ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** — ჩაფიქრებული ხართ, გამხიარულდით. **თხის რქა** — რჩევას გეკითხებიან, მაგრამ მაინც თავისებურად მოქმედებენ. **მერწყული** — საქმე ბევრია, ამიტომ დრო გაანაწილეთ. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

უბცჳმდტ,ს ,ტცბტჳ ცქტს=

# გოჩა ჭაბუკაიძე უკრაინულ ნიჭიერში“ მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

ქართული „ნიჭიერის“ შემდეგ მომღერალი გოჩა ჭაბუკაიძე უკრაინულ „ნიჭიერში“ აღმოჩნდა. როგორც ქართული „ნიჭიერის“ პროდიუსერებმა განაცხადეს, უკრაინულ „ნიჭიერში“ ქართველი მომღერალი შოუს ორგანიზატორებმა დაპატიჟეს:

„მას შემდეგ, რაც გოჩა ჭაბუკაიძემ წარმატებას მიაღწია ქართული ნიჭიერის სცენაზე და ფინალშიც მოხვდა, იგი უკრაინულმა ნიჭიერმა მიიწვია. გოჩამ მონაწილეობა უკრაინაშიც მიიღო, სადაც ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.“

მომღერალი გოჩა ჭაბუკაიძე უკრაინული „ნიჭიერის“ მეშვიდე სეზონში ჩაერთო. ქართული „ნიჭიერის“ შემდეგ, მან საკუთარი შესაძლებლობები უკრაინელი ჟიურისა და მაყურებლის წინაშე წარმოაჩინა და როგორც მოსალოდნელი იყო, გულგრილი არავინ დატოვა.

გოჩა ჭაბუკაიძემ უკრაინულ „ნიჭიერში“ ჯო კოკერის ზუსტად იგივე სიმღერა შეასრულა, რომელიც ქართულ „ნიჭიერში“ და როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზის მხარდაჭერა, ხანგრძლივი ოვაციები და ჟიურის სამი „კი“ დაიმსახურა. „ცოტაც და აფეთქდებოდით, ასეთი არაფერი მინახავს“, — განუცხადა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ქართველ მომღერალს.

გოჩა ჭაბუკაიძე მედავითნეა და საღამოობით რესტორანში მღერის. როგორც თავად ამბობს, საკუთარ თავს პიანისტს უფრო უწოდებს, ვიდრე მომღერალს, თუმცა ცხოვრებამ განაპირობა, რომ მან სიმღერა დაიწყო. ოჯახის გადარჩენისთვის მან სხვა გზა ვეღარ გამონახა და რესტორნებში სიმღერას მიჰყო ხელი. ამბობს, რომ ორ ბატონს ერთდროულად ემსახურება და თანაც დიდი სიამოვნებით, რადგან ორივე უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს.

ქართულ „ნიჭიერში“ გოჩა ჭაბუკაიძე საუკეთესოთა შორის მოხვდა, ფინალშიც გადავიდა, თუმცა გამარჯვება ვერ შეძლო. როგორც მომღერალმა განაცხადა, „ნიჭიერში“ შვილის სიყვარულმა მიიყვანა, რომელიც საფრანგეთშია გათხოვილი. გოჩა ჭაბუკაიძემ სწორედ შვილისთვის იმღერა, თუმცა მთელი დარბაზის და ჟიურის აღფრთოვანებაც შეძლო. „ნიჭიერის“ სპონსორებმა გოჩა ჭაბუკაიძეს ყველაზე სანატრელი



სურვილი აუსრულეს და ფინალურ შოუზე ორკაციანი საგზური აჩუქეს საფრანგეთში, რომ მას მონატრებული შვილის მონახულება შეძლებოდა.

# მერაბ კოკოჩაშვილი 80 წლის გახდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. წლების განმავლობაში ის იყო კომპანია „ქართული ტელეფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

მერაბ კოკოჩაშვილი ქართულ კინოში პირველ მიხეილ ჭიაურელმა მიიყვანა. მომავალი კინორეჟისორი გადაიღეს ფილმში „გიორგი სააკაძე“, სადაც პატარა პაატას როლი შეასრულა.



რაც შეეხება სარეჟისორო დებიუტს, მერაბ კოკოჩაშვილის პირველი ფილმი იყო „კარდაკარ“, რასაც მოყვა სხვა ცნობილი ფილმებიც „არდადეგებზე“, „მიხა“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“, „მწვერვალი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ნუცას სკოლა“.

მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედების სავიზიტო ბარათია ფილმი „დიდი მწვანე ველი“, რომელშიც დოდო აბაშიძისა და ლია კაპანაძის განუმეორებელი ტანდემი შედგა.

მერაბ კოკოჩაშვილმა ბოლოს ფილმი 2005 წელს გადაიღო და მას „უსუი“ დაარქვა, რომელიც შექსპირის შემოქმედების მიხედვით შექმნა. ამჟამად უხუცესი რეჟისორი „ქართული ფილმის“ გადარჩენით არის დაკავებული და კოლეგებთან ერთად მისი გაყიდვის წინააღმდეგ იბრძვის.

# ეკა ნიჟარაძე: რატომ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქრთამს გვაძლევს?“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რების აზრი და პოზიცია ყველამ ძალიან კარგად იცის, ვინმე ღვთისნიერი მიაწვდენდა ხმას, რის შემდეგაც მას თავისუფლად შეეძლო შევეყვანეთ „შავ სიაში“ და მოეხსნა დაფინანსება, რომელიც ნახევარ საქართველოს გულზე ადგას. „როგორ თუ ამ „ბოზებს“ უხდიან და ჩვენ, ვინც სახე დავიხოკეთ, აყროლებულ გალიებში თვეები გავატარეთ, გადავაგდეთ ძველი, სისხლიანი და მოვიყვანეთ ახალი, მაღალი ღირებულებების მქონე მთავრობა, არც არაფერს არ გვიხდიან!“ მართლაც საშინელი უსამართლობაა, მაგრამ ჩვენ მისთვის არაფერი გვითხოვია, ასე რომ, პრეტენზიები სხვა მისამართზე გაუშვით!“

**პოსტის ბოლოს ეკა ნიჟარაძე ოთარ ჩრდილელსაც მოიხსენიებს:**

„ბუნებრივია, აქ აღარაფერს ვწერ წვრილმანებზე, როგორებიც არიან: უმრავლესობის დეპუტატი ვინმე ოთარ ჩრდილელი და კიდევ სრულიად გაუგებარ ხალხზე, რომლებმაც დაბომბეს ჩემი ინბოქსი... და კიდევ ერთი, ვისაც გული ერევა ან დრამინდა დალიოს, ან წამშალოს ფრენდებიდან, თორე თუ სადმე შემხვდებით სიტყვებით „ოქრიკო“, „რა ლამაზი ხარ“, „ძააან მიყვარხარ“ და ა.შ. შეიძლება უკვე მე ამერიოს გული.“

სპორტი

# ლევან მჭედლიძემ, როგორც იქნა, გოლი გაიტანა

გუშინ იტალიის ჩემპიონატის 28-ე ტურის შეხვედრაში ემპოლის ქართველმა ლეგიონერმა ლევან მჭედლიძემ წლევანდელ სეზონში სერია-ა ში პირველი გოლი გაიტანა. მჭედლიძემ წელს უკვე მოახერხა იტალიის თასის შეხვედრაში ლამაზი გოლის გატანა, მაგრამ სერია-ა ში ის ვერა და ვერ ახერხებდა თავის გამოჩენას.

ქართველი ფეხბურთელი ახალი გამოსული იყო ცვლილებაზე, როდესაც მან მეტოქე გუნდის კარი დალაშქრა. ლევანმა ზუსტი ჩაწოდების შემდეგ ბურთს ფეხი დაუხვედრა და დაასრულა თავისი უგოლო სერია.

ზოგადად სერია-ა ში ეს ლევანის მეორე გოლი იყო. პირველი გოლი მან ჯერ კიდევ 2008 წელს გაიტანა იუვენტუსის კარში. მაშინ მისმა გუნდმა პალერმომ იუვენტუსი სტუმრად სენსაციურად დაამარცხა. მჭედლიძეს 6 წელიწადზე მეტი დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი მეორე გოლი გაეტანა იტალიის ჩემპიონატში.

ბ.გ.

# ბარსელონამ რეალი დაამარცხა, მაგრამ ჩემპიონობა ჯერ ადრეა

როდესაც ელ კლასიკო იწყება, საფეხბურთო სამყაროში ყველაფერი სხვა მეორეხარისხოვანი ხდება და ფეხბურთის გულშემატკივარი მხოლოდ ბარსელონა-რეალის დაპირისპირებაზე ფიქრობს. ასე იყო 22 მარტსაც, როდესაც ეს ორი გუნდი წლევანდელ სეზონში მეორედ დაუპირისპირდა ერთმანეთს.

პირველ წრეში სამეფო გუნდმა გაიმარჯვა, ხოლო ამჯერად გამარჯვება კატალონიურ გრანდს ხვდა წილად. ბარსელონამ 2-1 მოიგო და რეალს სატურნირო ცხრილში 4 ქულით გაუსწრო.

ანგარიში ბარსელონელმა მატიომ გახსნა, რასაც კრიშტიანო რონალდომ მალევე უპასუხა. საერთოდ, პირველი ტაიმი რეალმა უკეთესად ითამაშა და მთელ რიგ მომენტებში იღბალი ბარსელონას მხარეს იყო. მეორე ნახევარი ისევ რეალის შეტევებით დაიწყო, მაგრამ ლუის სუარესის 56-ე წუთზე გატანილმა გოლმა სამეფო გუნდი მორალურად გატეხა და ამის შემდეგ უკვე ბარსელონა ფლობდა სათამაშო უპირატესობას. ლიონელ მესიმ ამ შეხვედრაში თავის გამოჩენა ვერ შეძლო, ხოლო კრიშტიანო რონალდუმ მადრიდელთა ერთადერთი გოლი გაიტანა, თუმცა ამან რეალი მარცხისგან ვერ იხსნა.

მატჩის შემდეგ რეალის ფეხბურთელებმა ძირითადად ერთნაირი ტიპის კომენტარები გააკეთეს. მათი თქმით, პირველ ტაიმში რეალს არ გაუმართლა, ხოლო მეორეში კი ძალა არ ეყო, რომ შეხვედრა თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა. კარლო ანჩელოტიმ თავისი გუნდი შეაქო, მაგრამ აღნიშნა, რომ ბოლო 30 წუთი ბარსელონა ფლობდა უპირატესობას და რეალი უკვე ვეღარ აკონტროლებდა მატჩის სადავეებს.

ბარსელონას ფეხბურთელები სიხარულს არ მალავდნენ ამ გამარჯვების გამო. მათი თქმით, გუნდმა ურთულესი შეხვედრა ჩაატარა. ივან რაკიტიჩის აზრით, ესპანეთის ჩემპიონის ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის და ბარსელონას წინ კიდევ ბევრი რთული შეხვედრა ელის.

ლუის ენრიკემ ბარსელონას მეორე ტაიმში გარჯა მოუწონა და თქვა, რომ ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია.

ამ გამარჯვების შემდეგ ბარსელონამ 68 ქულა მოაგროვა, ხოლო რეალს 64 დარჩა. წინ კიდევ 10 ტურია, რომლებშიც გაირკვევა ესპანეთის ჩემპიონის ვინაობა. ბარსელონა მომავალ ტურში სტუმრად სელტას ეთამაშება. შეხვედრა 5 აპრილს გაიმართება.

ბ.გ.

კალეიდოსკოპი

# ჯონსონ ენდ ჯონსონის სახედ მოზარდი-ტრანსგენდერი შეარჩიეს

მოზარდი-ტრანსგენდერი ჯაზ ჯენინგსი კომპანია ჯონსონ ენდ ჯონსონის კუთვნილი და ახალგაზრდობაზე ორიენტირებული კოსმეტიკური ბრენდის ქლეინ ენდ ქლეარის სახე გახდა. ამერიკის ფლორიდის შტატის 14 წლის მცხოვრები ჯაზი ამ მარკის სარეკლამო რგოლში გადაიღეს, რომლის სახელწოდებაცაა ,,დამინახეთ ისეთი, როგორიც ვარ“.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯენინგსი ორი წლის ასაკიდან თავს გოგონად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭად დაიბადა. ოთხი წლისას ექიმებმა ,,გენდერული დისფორიის“ დიაგნოზი დაუსვეს, რითიც აღიარეს, რომ ბავშვს ფსიქოლოგიურად არ შეეძლო საკუთარი თავი მამრობითი სქესის წარმომადგენლად აღექვა.

2014 წელს დაიბეჭდა ჯენინგსის წიგნი ,,მე ჯაზი ვარ“, რომელიც ოთხიდან რვა წლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მასში ავტორი საუბრობს ტრანსგენდერების სირთულეებზე და მხარდაჭერას გამოხატავს თავისი მსგავსი ბავშვების მიმართ. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა 11 სერიანი ტელეშოუ წარმოადგინა ,,სრულად ეს ჯაზი“, რომელშიც მოთხრობილი იყო ჯენინგსის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მის ბრძოლაზე ითვლებოდეს სუსტი სქესის წარმომადგენლად.

# ჯასთინ ბიბერის პირად მცველს ანტისემიტიზმში ედება ბრალი



კანადელი მომღერლის ჯასტინ ბიბერის პირად მცველს ანტისემიტურ გამონათქვამებში დასდეს ბრალი. სასამართლოს მიმართა ჯეფ შვარცმა, რომელიც კალიფორნიის ქალაქ კალაბასასში მომღერლის მეზობლად ცხოვრობს. მამაკაცი მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

მისი თქმით 2013 წლის 27 მაისს სამხედრო კონფლიქტებში დაღუპული ამერიკელი სამხედროების ხსენების დღეს, მომღერალი რაიონში თავისი ავტომობილით ფერარით დაჰქროდა და ამით მოქალაქეთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. როდესაც მან მომღერალს მოუწოდა, რომ უფრო მშვიდი ქცევა მართებდა, ბიბერის ერთ-ერთმა პირადმა მცველმა მას ,,პატარა ებრაელი ბიჭუნა“ უწოდა. შვარცის თქმით, მან არაერთხელ გაიმეორა: ,,რას უპირებთ ამ ყველაფერს, ებრაელო ბიჭუნავ?“

ჯერჯერობით არ არის ცნობილი თუ რა თანხას ითხოვს კომპენსაციის სახით შვარცი ბიბერის პირადი მცველისგან, რომლის ვინაობა არ სახელდება.

# ინდოეთის ხელისუფლება ჩინოსნებს იოგაში ავარჯიშებს



ინდოეთის ხელისუფლება სახელმწიფო მოხელეებისთვის 1 აპრილიდან იოგაში უფასო ვარჯიშებს შემოიღებს.

ეს ვარჯიშები შემოღებული იქნება როგორც ჩინოსნების, ისე სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის, რომელთა საერთო რაოდენობა 3 მილიონ ადამიანს აღწევს.

სახელმწიფო მოხელეები ვარჯიშს იოგას ეროვნულ ინსტიტუტში, რომელიც ნიუ-დელიში მდებარეობს, მხოლოდ სამუშაო დღეებში შეძლებენ, გარდა დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებისა.

როგორც პერსონალის მომზადების დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი: ,,ვარჯიშებში მონაწილეობისთვის წინასწარი რეგისტრაციის გავლა საჭირო არ არის და ისინი მასში ანაზღაურებას არ გადაიხდიან.

აღსანიშნავია, რომ არც ისე დიდი ხნის წინ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ იოგას ინსტრუქტორს გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა მიულოცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ენძელა, დარეჯანი, დალი, პეტრე ბერაიები, გოჩა ლორთქიფანიძე, ზაზა პეტრიაშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ნათესავის

**ლია ღლონტი-წულაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბჲბც უფჲლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# TV პროგრამა

**სამშაბათი 24 მარტი**

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.40, 03.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.30** მხ/ფ **"მამაჩემის ექვსი ცოლი"** **00.10** მხ/ფ **"არჩევანი"**

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ეფლი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45,** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღალატი"** **16.00** სერ. **"ორი ბედი" 2** სერ. **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი"** **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული"** **20.55** სერ. **"შურისძიება"** . **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** შალვა რამიშვილის შოუ **01.00** მხ/ფ **"მეფის გვარდიელები"** **02.55** მხ/ფ **"გალიის მეფე"** (ს.სიგალი)

**06.00, 16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** სპექტაკლი - **"ბაკულას ღორები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დ/ფ "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია" **11.05** დ/ფ "ბერი პაისი" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"დიმიტრი II"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ქრისტიანული სწავლება XVIII გად. **15.20** დ/ფ "მესხეთის ძველი" **15.55** კონცერტი - ალბერტ ფონ კარაიანი **17.30** დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"ცოტნე დადიანი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი საგანძური **23.40** ქვიშით ნაამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ბროლის ნიღაბი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 13.05, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.30** გადაცემა "NX-სპიკერი" **16.05, 17.05** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **22.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.00** დ/ფ საქართველო მე-XX საუკუნე

გპჯუპფჯტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდპბც4 ყტ,ფპსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 მარტი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2230 | ევრო — 2.3762 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2780 | 100 რუსული რუბლი — 3.6946 |

## ამინდის პროგნოზი 24 მარტისთვის




კალეიდოსკოპი



## აშშ-ში აიფონის გამო შვილმა დედის მოწამვლა სცადა



ამერიკის კოლორადოს შტატის ბოულდერის ოლქის ახალგაზრდა მცხოვრებს დედის მკვლელობის მცდელობის ბრალდება აქვს წარდგენილი.

როგორც ცნობილი გახდა, 12 წლის გოგონა ორჯერ შეეცადა, საკუთარი დედა მოეწამლა. პირველად ეს 2 მარტს ცადა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შვილმა დედას სადილისთვის რძის კოქტეილი მოუმზადა, რომელშიც მათეთრებელი შეურია. შემდგომში ქალმა პოლიციას აცნობა, რომ სასმელში უცნობი გემო შეიგრძნო, მაგრამ მაშინ იფიქრა, რომ უბრალოდ ქალიშვილმა ჭიქას გარეცხვის შემდეგ წყალი არ გამოავლო და ეს ყოველივე სწორედ ამის შედეგი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ მოზარდმა მათეთრებელი იმ წყლის ჭურჭელში ჩაასხა, რომლითაც ქალი წყალს სვამდა და მას თავის საძინებელ ოთახში ედგა. ქალმა ამჯერადაც იგრძნო ქლორის სუნი. ამის შემდეგ ის თავის გოგონას გაესაუბრა და გამოარკვია, რომ მას მისი მოკვლა აიფონის ჩამორთმევის გამო სურდა.

პოლიციელებმა მოზარდი დააპატიმრეს და არასრულწლოვანი დამნაშავეების დაკავების ცენტრში მოათავსეს.

უცნობია, თუ რა მიზეზით ჩამოართვა დედამ გოგონას აიფონი.

## მძარცველებმა შემთხვევით 911-ზე დარეკეს




ამერიკის მინესოტას შტატში მძარცველები საკუთარი დაუდევრობის მსხვერპლი გახდნენ. სამი დამნაშავე თავად დაეხმარა პოლიციელებს პირდაპირ, ქურდობის დროს, საკუთარი თავის აღმოჩენაში. ინციდენტი 19 მარტს დილით ადრე მოხდა.

ძარცვის დროს ერთ-ერთი დამნაშავის ტელეფონზე შემთხვევით აიკრიფა ნომერი 911, მაგრამ მას ამის შესახებ არაფერი გაუგია, ვინაიდან ტელეფონი ჯიბეში ედო. დისპეტჩერმა, რომელმაც ზარი მიიღო, მოისმინა ორი ადამიანის საუბარი, საიდანაც მან დაასკვნა, რომ ისინი იყვნენ დამნაშავეები, რომლებიც ქურდობაში მონაწილეობდნენ.

სატელეფონო კავშირი 34 წუთი გრძელდებოდა, ამ დროის მანძილზე პოლიციელებმა მოახერხეს დაედგინათ დამნაშავეთა ადგილმდებარეობა. ამის შედეგად სამივე დამნაშავე ფაქტზე იქნა დაკავებული. ოპერატორის თქმით, ბოლო ფრაზა, რომელიც მან გაიგონა, იყო: ,,მგონი, ეს პოლიციაა“, რის შემდეგაც ფეხების ტყაპუნის ხმა გაისმა. დამნაშავეები დააკავეს.

მსგავსი შემთხვევა გასული წლის მაისში ლუიზიანას შტატშიც მოხდა. თუმცა საკუთარი თავი პოლიაში ჩაუშვა არა ქურდმა, არამედ მთვრალმა მძღოლმა. პატრიკ რაფერმა მიმართა პოლიციას, რათა მათთვის ეცნობებინა ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ, მისი მანქანის მონაწილეობით. მას სთხოვეს, რომ პოლიციაში მისულიყო და შემთხვევის ანგარიში შეედგინა. როდესაც ის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს წარუდგა, მათ იგრძნეს, რომ მამაკაცს ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. რაფერს აუცილებელი ტესტის გავლა მოსთხოვეს ორგანიზმში ალკოჰოლის არსებობის დასადგენად. ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. შედეგად მამაკაცი საკანში აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კახა ცხადაძის საბოლოო ვერსია ცნობილია



ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მომავალი ამხანაგური და ევროშესარჩევის მატჩებისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ცხადაძემ ლეგიონერების 19-კაციან სიას ორი ფეხბურთელი, დანიური „ორჰუსის“ თავდამსხმელი მათე ვაწაძე და უკრაინული „კარპატის“ საყრდენი ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილი დაამატა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ლეგიონერებს ეროვნული ჩემპიონატიდან 2 ფეხბურთელი დაუმატა — „სამტრედიას“ მცველი ლევან კაკუბავა და ბათუმის „დინამოს“ მეკარე მიხეილ ალავიძე.

„ჯვაროსნებმა“ მალტასთან (25 მარტი) ამხანაგური თამაშისთვის და გერმანიასთან (29 მარტი) ევროშესარჩევის დაპირისპირებისთვის ტექნიკურ ცენტ „ბასაზე“ მზადება გუშინდელი დღიდან დაიწყეს. ნაკრებში გამოძახებული ლეგიონერები, რომლებმაც საკუთარ კლუბებში კვირას ითამაშეს, ეროვნულ გუნდს დღეს შეუერთდებიან. კახა ცხადაძის გადაწყვეტილებით კი, გუშინ სრულფასოვანი ვარჯიშის ჩასატარებლად, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ლაშა პარუნაშვილი, ლაშა თოთაძე, გიორგი ჩირგაძე, ჯაბა ჯიღაური (ყველადინამოთბ), არჩილ ტვილდიანი (შუქურა) და დავით მთივლიშვილი (ზესტაფონი), დროებით იხმო.

**ნაკრების მთავარი მწვრთნელის რჩეულთა სია ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ოფი, საბერძნეთი), ნუკრი რევიშვილი (ტოსნო, რუსეთი), მიხეილ ალავიძე (დინამო ბთ);

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე (ომონია, კვიპროსი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), სოლომონ კვირკველია (რუბინი, რუსეთი), ლაშა დვალი (ქასიმფაშა, თურქეთი), გიორგი ნავალოვსკი (ტოსნო, რუსეთი), ლევან კაკუბავა (სამტრედია);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (გენკი, ბელგია), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), სანდრო კობახიძე (ვოლინი, უკრაინა), მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), გიორგი ჭანტურია (კლუჟი, რუმინეთი), კახა მახარაძე (ფახთაქორი, უზბეკეთი);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ბაჩანა ცხადაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ეკა ნიჟარაძე: რატომ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქრთამს გვაძლევს?“

### მსახიობი უმრავლესობის დეპუტატ ჩრდილელს პასუხობს

ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ეკა ნიჟარაძე 21 მარტის აქციაზე წასვლის გამო, ლამის ანათემას გადასცეს. როგორც თავად ამბობს, ზოგმა შვილი დაუწყევლა, ზოგს გული ერეოდა, ზოგსაც ცნობისმოყვარეობა კლავდა გაეგო, სად იქნებოდა აფთერფართი.

ეკა ნიჟარაძესთან ერთად აქციაზე იმყოფებოდნენ მისი კოლეგები, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ონისე ონიანი, მუსკომედიის თეატრის მსახიობი ნანა ბუთხუზი და რუსთაველის თეატრის მსახიობი გოგა გველესიანი. მათ ერთობლივი ფოტოები გადაიღეს და სოციალურ ქსელში ატვირთეს.

სწორედ ამ ფოტოების გამოჩენას მოყვა აგრესია და ცინიკური გამოხმაურებები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, ოთარ ჩრდილელმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ამ მსახიობებს გასაოცარი დემოკრატია აქვთ:

„წინა დღით რომ „ქართუდან“ დახმარებას გახარებული აიღებ და მეორე დღეს რომ წადი, წადის უძახი ბიძინას... მართლაც გასაოცარი დემოკრატიააა... სინდისი? ხა, ხა, ხააა...“

**ოთარ ჩრდილელის განცხადებას მალევე გამოეხმაურა მსახიობი გოგა გველესიანი:**

„მადლობას ვუხდი ბატონ ბიძინას დახმარებისთვის, სანამ მეცენატი იყო... როგორც კი პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, პირადად მე, 2011 წლიდან დახმარებაზე უარი ვთქვი და შესაბამისად არც ვიღებ!“

**ნანა ბუთხუზმა განაცხადა, რომ ის დახმარებას არ იღებს:**

„ეტყობა, ჩემს სახელზე გამოყოფილია დახმარება და მე არ ვიცი. არ ვიღებ ბატონო არანაირ დახმარებას, სინდისი მაქეთ მოიკითხეთ!“

ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია ონისე ონიანს, რაც შეეხება ეკა ნიჟარაძეს, მან ეს თემა სოციალურ ქსელში უფრო განავრცო:

„აი, როგორც იქნა მეც მოვიცალე მათთვის, ვინც 21 მარტს დილიდან, გვიან ღამემდე კარგად გაერთო. საინტერესოა, 22-ში რით დაკავდნენ?! ვგულისხმობ იმათ, ვინც „ხახახას“ თანხლებით სრულიად მოურიდებლად ბევრი საზიზღრობა დაწერეს და თქვეს ჩემზე და ჩემს მეგობრებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს რაღაც-რაღაცებზე. ზოგს გული ერეოდა და შვილებს გვიწყევლიდა, ზოგს


ფოტო, რომელსაც სკანდალი მოყვა

აინტერესებდა, აფთერფართი სად გვაქვს... არ გთაგავთ იმიტომ, რომ ვიცი წაიკითხავთ და ძალიან კარგად მიხვდებით, ვის ვგულისხმობ, აი ზუსტად ისე, როგორც მე მივხვდი. ახლა კი ერთი მარტივი შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, რატომ გვიხდის ბ. ივანიშვილი ფულს? 1) იმიტომ, რომ მეცენატია და ბევრი წლის წინ გაუჩნდა სურვილი გარკვეული კატეგორიის და პროფესიის ადამიანებს დაეხმაროს, რისთვისაც ჩვენ მადლობლები ვართ, თუ იმისთვის, რომ მისი ყურმოჭრილი მონები ვიყოთ და მიუხედავად განსხვავებული აზრისა, მაინც ვერ ვბედავდეთ ხმის ამოღებას?!“

**ამ კითხვის დასმის შემდეგ ეკა ნიჟარაძემ საკუთარი პოზიცია ასე გამოკვეთა:**

„1) მე მგონი, „მეგობრებო“, თქვენ ძალიან, ძალიან ცუდი წარმოდგენის ყოფილხართ მასზე! თქვენი მიწერ-მოწერიდან გამოდის, რომ ქრთამს გვაძლევს, გვყიდულობს! ჩვენ ქვეყანაში კი ქრთამის როგორც აღება, ასევე მიცემა კანონით ისჯება! 2) ჩემი და ჩემი მეგობ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე


45 ლარად!
წვერსაპარსი PHILIPS+ საჩუქარი ტრიმერი
50% ფასდაკლებით

წვერსაპარსი PHILIPS



- ტიპი: წვერსაპარსი;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- ბაკების გასასწორებელი;
- მოყვება დამტენი
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებენ თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- დატენვის ინდიკატორი;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

მზის სანათი — 40 ლარად

**შეთავაზების აღწერილობა:**

— მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;

— აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;

— აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი.შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა,მობლური,აიპოდი და სხვა



შეიძინეთ სმენის აპარატი
45 ლარად
100 ლარის ნაცვლად



1. ხმის გაძლიერება 50 ДБ.
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც. რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 — 10ც. ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.




მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ტელ: 2-182-186
მის: ვაჟა-ფშაველას№79


## კროსვორდი



**შვეულად:** 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რაიმე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5. საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩახარშული სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის სიდიდის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან ზემოთკენ მიმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავხევსურეთის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 5. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 7. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. ჰოლანდიური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. უფროსი მღვდელი ლუთერანულ ეკლესიაში; 16. ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 22. იტალიური ავტომობილი; 23. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 24. ქალაქი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 25. დენის ძაბვის ერთეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა